F-171
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**1**

იანვარი

თბილისი—1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 12 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/V-70 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6

შეკ. 6. უე—05685 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете Министров Груз. ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F 3477

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა

1969 წლის 14 სექტემბერი

### ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა თხზულების „რევოლუციას აქვს დასაწყისი— რევოლუციას არა აქვს დასასრული"—III საკავშირო დათვალიერებაში საქართველოს სსრ მოსწავლეთა მონაწილეობის შ ე ს ა ხ ე ბ

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა მოსწავლეთა თხზულების ორი საკავშირო დათვალიერება: 1967—68 სასწავლო წელს მოსწავლეებმა დაწერეს თხზულება— „ჩვენი საყვარელი სამშობლო", 1968—1969 სასწავლო წელს კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით—„ჩემი თანამედროვე".

როგორც „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა თხზულების „რევოლუციას აქვს დასაწყისი— რევოლუციას არა აქვს დასასრული" III საკავშირო დათვალიერების ჩატარების შესახებ საკავშირო ალკკ კომიტეტისა და სსრკ განათლების სამინისტროს 1969 წლის 10 სექტემბრის დადგენილებაშია აღნიშნული—„სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის პოლიტიკური მუშაობის ეს მასობრივი ფორმა ეხმარება მოსწავლეებს იდეალის არჩევისას საკუთარი პოზიციების პოვნაში, თანამედროვე მოვლენების ღრმად გააზრებასა და გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებაში, ხელს უწყობს კომუნისტური მშენებლობის საქმეში სახალხო განათლების ორგანოებთან, მწერალთა კავშირებთან, ჟურნალისტებთან და სხვა ორგანოებთან, კომკავშირის კონტაქტის განმტკიცებას".

საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მოსწავლეებთან ერთად დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის უფროსკლასელებმაც: მათგან სამი, კონკურსის—„ჩემი საყვარელი სამშობლო“, საუკეთესო თხზულების ავტორები, სხვა გამარჯვებულებთან ერთად, 1968 წლის იანვარში მიღებაზე იყვნენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში და შემოქმედებით კავშირებში. კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა ნაწარმოებები გამოქვეყნდა ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის უფროსკლასელთა მონაწილეობა 1968/69 სასწავლო წლის კონკურსში—„ჩემი თანამედროვე“ არ ყოფილა მასობრივი. რესპუბლიკური ჟიურის მისამართზე გამოგზავნილ უფროსკლასელთა ნამუშევრებმა ვერ დაიმსახურეს მაღალი შეფასება, რის გამოც რესპუბლიკურმა ჟიურიმ მიზანშეუწონილად ცნო მათი გადაგზავნა საკავშირო ჟიურისათვის.

მიმდინარე 1968/69 სასწავლო წელს ვ. ი. ლენინის ანდერძის შესრულების, საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიისადმი ინტერესის გაძლიერებისა და ახალგაზრდობაში მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მიზნით საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი და სსრკ განათლების სამინისტრო რვაწლიანი და საშუალო სკოლების 7—10 კლასების მოსწავლეთა შორის ატარებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა თხზულებების III საკავშირო დათვალიერებას. თხზულების თემაა „რევოლუციას აქვს დასაწყისი—რევოლუციას არა აქვს დასასრული“.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ა დ გ ე ნ ე ნ:

1. კომკავშირის რაიონულმა, საქალაქო, საოლქო კომიტეტებმა და რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა აქტიური მუშაობა გაშალონ დათვალიერების მომზადების, ჩატარებისა და შედეგების შესაჯამებლად: რაიონებსა და ქალაქებში ჩაატარონ სასკოლო კომკავშირული აქტივის კრებები, სკოლის დირექტორების თათბირები, მასწავლებელთა სემინარები, განუმარტონ მათ დათვალიერების პირობები; მიზანი და ამოცანები. ამ სამუშაოებში ჩააბან ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საუკეთესო მწერლები და ჟურნალისტები.

2. რესპუბლიკურმა ჟიურიმ, 1970 წლის 1 მარტისათვის, საკავშირო ჟიურის წარუდგინოს დათვალიერების ჩატარების შესახებ ანგარიში და ათი საუკეთესო ნამუშევარი, რეკომენდაცია

გაუწიოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში გამოსაქვეყნებლად, რადიო და ტელევიზიით გადასაცემად კარგ და შინაარსიან თხზულებებს. საუკეთესო თხზულებათა ავტორები დააჯილდოვონ საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქ. სსრ განათლების სამინისტროს საიუბილეო ქების სიგელებით.

3. რესპუბლიკურმა გაზეთებმა: „სახალხო განათლებამ“, „მოლოდიოჟ გრუზიიმ“, „ახალგაზრდა კომუნისტმა“, ჟურნალებმა: „პიონერმა“, „სკოლა და ცხოვრებამ“ და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა ფართო პროპაგანდა გაუწიონ დათვალიერების მიმდინარეობას.

დამტკიცდეს დათვალიერების ჩატარების რესპუბლიკური ჟიურის შემადგენლობა და დებულება (თან ერთვის).

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი
**რ. მეტრეველი**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
**თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა თხზულების „რევოლუციას აქვს დასაწყისი— რევოლუციას არა აქვს დასასრული“—III საკავშირო დათვალიერებაში საქართველოს სსრ მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ**

მოსწავლეთა თხზულებების III საკავშირო დათვალიერება ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, მას ატარებს საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი და სსრკ განათლების სამინისტრო 1969 წლის 1 სექტემბრიდან 1970 წლის 22 აპრილამდე.

დათვალიერების მიზანია ხელი შეუწყოს უფროსკლასელებს ლენინის ანდერძის დამოუკიდებელ გააზრებასა და განხორციელებაში.

დათვალიერებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო სკოლების 7—10 კლასების მოსწავლეებს.

დათვალიერების მომზადების, ჩატარებისა და შედეგების შეჯამებას ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში ორგანიზაციას უწევენ კომკავშირის კომიტეტები და სახალხო განათლების ორგანოები.

კომკავშირის რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური კომიტეტები. სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად, ატარებენ სასკოლო კომკავშირული აქტივის კრებებს, დირექტორების თათბირებსა და მასწავლებელთა სემინარებს, განუმარტავენ მათ დათვალიერების პირობებს.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, რაიონებსა და ქალაქებში იქმნება ჟიური, რომელთა შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, კომკავშირული აქტივისტები, სახალხო განათლების მუშაკები, სკოლის კომკავშირის კომიტეტის წევრები, რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანები, მწერლები და ჟურნალისტები.

დათვალიერების მონაწილენი თავიანთ ნამუშევრებს წარუდგენენ სასკოლო ჟიურის, რომელიც შეარჩევს საუკეთესო [illegible]ბებს, აცნობს მას სკოლის მოსწავლეებს, მშობლებს, საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აწყობს განხილვებსა და გამოფენებს. დათვალიერების შედეგები ჯამდება საერთო სასკოლო საღამოზე, სადაც მოწვეული იქნებიან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სკოლის მეგობრები.

საუკეთესო ნამუშევრები ეგზავნება რაიონის ან საქალაქო ჟიურის (არა უგვიანეს 1 იანვრისა), რომლებიც თავის მხრივ შეარჩევენ შედარებით მკაფიო ფორმისა და საუკეთესო შინაარსის ნამუშევრებს და 1 თებერვლისათვის გადაუგზავნიან მათ რესპუბლიკურ ჟიურის.

რესპუბლიკური ჟიური (1 მარტამდე) საკავშირო ჟიურის უგზავნის ანგარიშს დათვალიერების ჩატარების შესახებ და 10 საუკეთესო ნამუშევარს, რეკომენდაციას უწევს მათ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში გამოსაქვეყნებლად და რადიო და ტელევიზიით გადასაცემად.

საკავშირო ჟიური განსაზღვრავს მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრებს, რეკომენდაციას უწევს მათ ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში გამოსაქვეყნებლად, თხზულებათა ავტორებს აჯილდოებს საკავშირო ბანაკის „ორლიონოკის“ 1970 წლის ზაფხულის საგზურებით.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი და სსრკ განათლების სამინისტრო თხზულების თემის გახსნისათვის რეკომენდაციას იძლევა „მოსწავლეებმა გამოიყენონ ლაშქრობებში, ექსკურსიებსა და ექსპედიციებში, დისპუტებსა და კომკავშირულ კრებებზე, რევოლუციის ომისა და შრომის ვეტერანებთან, საზოგადო-მოღვაწეებთან, პოეტებთან, მწერლებთან, კომპოზიტორებთან და მეცნიერებთან შეხვედრებისას მიღებული შთაბეჭდილებანი; სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტები, კომუნისტური პარტიის ვეტერანთა მოგონებები ვ. ი. ლენინზე და მის თანამებრძოლებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, პუბლიცისტური და მხატვრული ლიტერატურა, კინოფილმები, რადიო და ტელევიზიის გადაცემები, თეატრალური დადგმები და სხვ.“ (რეკომენდაციები თხზულებათა შინაარსის შესახებ გამოქვეყნდა 1969 წლის 20/IX „Учительская газета-ში“, გამოქვეყნდება გაზეთ „სახალხო განათლებაში“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეებს ეძლევათ უფლება შექმნან ორიგინალური ნაწარმოები, რისთვისაც შეუძლიათ გამოიყენონ საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები და დაწერონ თხზულება, რომელშიაც საჭირო შინაარსი აისახება ლიტერატურულ მასალაზე დაყრდნობით.

თხზულებაში გარკვევით უნდა იგრძნობოდეს ავტორის აზრის დამოუკიდებლობა. თხზულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოადგენდეს გაანალიზებული ნაწარმოების თხრობას, მათზე ლიტმცოდნეობის სტატიებისა და სხვადასხვა ნაშრომში გადმოცემული საკითხების კომპილაციას. კონკურსზე საკლასო თხზულებების წარმოდგენა დაუშვებელია.

თხზულების მოცულობა არ არის შემოფარგლული, ყველა მოსწავლეს უფლება ეძლევა ამოირჩიოს ლიტერატურული თხრობის ნებისმიერი ფორმა: მოთხრობა, რეპორტაჟი, ლირიული დღიური, ნარკვევი, ლექსი, ინტერვიუ, ღია წერილი და სხვ.

მთავარია ნაწარმოები ამომწურავი სისრულით პასუხობდეს თემას. ყველა წარმოდგენილი დებულება უნდა იყოს დასაბუთებული.

მოსწავლეებმა ზუსტად უნდა დაიცვან ციტირების წესი, მიუთითონ რომელი ავტორის რომელი წყაროდან ახდენენ ციტირებას (ავტორის გვარი, ნაწარმოების გამოცემის წელი, გვერდი). გეგმის წარმოდგენა არ არის აუცილებელი.

საკონკურსო თხზულების ბოლოს რეკომენდირებულია მოთავსდეს თემის დამუშავებისას გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი.

თხზულება უნდა იყოს დაწერილი მელნით, გარკვევით, აკურატულად, 2—3 სმ. მინდვრიან ცალხაზიან რვეულში.

დასაშვებია თხზულების წარმოდგენა მანქანაზე დაბეჭდილი 2-ინტერვალიანი მინდვრის დაცვით.

მანქანაზე დაბეჭდილ თხზულების ტიტულარულ ფურცელზე, ან რვეულის გარეკანზე ნაჩვენები უნდა იყოს ავტორის გვარი და სახელი (სახელი უნდა დაიბეჭდოს სრულად, შეუმოკლებლად, კლასი, სკოლა და რაიონი).

მარჯვენა ქვედა კუთხეში ნაჩვენები უნდა იყოს მასწავლებლის გვარი, სახელი და მამის სახელი (შემოკლების გარეშე).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა თხზულების „რევოლუციას აქვს დასაწყისი— რევოლუციას არა აქვს დასასრული" საკავშირო დათვალიერების რესპუბლიკური ჟიურის შემადგენლობა;

1. აბაშიძე გრ.—მწერალი, ჟიურის თავმჯდომარე.

2. ლომიძე ზ.—საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგის მოადგილე

3. გასპარაშვილი ვ.—განათლების სამინისტროს მეთოდისტი

4. ჩარკვიანი ჯ.—პოეტი, ჟურნალ „ცისკარი"-ს რედაქტორი

5. პაიჭაძე ფ.—ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის წიგნზე მუშაობის კაბინეტის გამგე

6. ცერცვაძე ი.—გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქტორი

7. შელია ბ.—ჟურნალ „პიონერის" რედაქტორი

8. ბეთანიშვილი ნ.—საქართველოს რადიო კომიტეტის საბავშვო და ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქტორი

9. გამყრელიძე ნ.—საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციის რედაქტორი

10. ბაჩილავა მ.—საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი.

11. კაჭარავა ვ.—საქართველოში კომკავშირული მოძრაობის ვეტერანი

12. ოგანეზაშვილი ლ.—გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიი-"ს მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

13. მჭედლიძე ა.—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

14. წოწონავა ი.—განათლების სამინისტროს ინსპექტორი

15. ალავერდაშვილი გ.—გაზეთ „სახალხო განათლების" განყოფილების გამგე

16. შახსუვარიანი ს.—განათლების სამინისტროს ინსპექტორი

17. ბირიუკოვა ლ.—თბილისის 41-ე საშ. სკოლის პედაგოგი

18. ოჩიგავა მ.—ქ. თბილისის 136-ე ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგი

19. თომაძე მ.—ბავშვთა მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სახლის განყოფილების გამგე

20. რიზაევა ა.—ქ. თბილისის 73-ე საშ. სკოლის პედაგოგი

21. კეკელიძე მ.—ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება

## საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ განათლების და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროების კოლეგიებისა

1969 წლის 21 ნოემბერი

**ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო დათვალიერების „ნორჩთა შემოქმედების" ჩატარების შესახებ**

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო განათლებისა და კულტურის ორგანოების მუშაობის გააქტიურების მიზნით და ბავშვთა ტექნიკური, მხატვრული შემოქმედების, საკვლევო მუშაობის, პიონერებისა და მოსწავლეების მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების თანამედროვე მიღწევებით დაინტერესების, მთელი სკოლისგარეშე მუშაობის გაძლიერების მიზნით საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, საქართველოს სსრ განათლების და კულტურის სამინისტროები ა დ გ ე ნ ე ნ:

1. 1969—1970 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, კომპოზიტორთა, მხატვართა და კინემატოგრაფისტთა კავშირებთან, თეატრალურ საზოგადოებასთან, დოსააფის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად ჩატარდეს რესპუბლიკური დათვალიერება „ნორჩთა შემოქმედება" მიძღვნილი ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

2. დამტკიცდეს დათვალიერების „ნორჩთა შემოქმედება“ დებულება და საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი № 1—2).

ეროვნული

3. დაევალოს პროფკავშირების საბჭოებს და [illegible] ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, კულტურის შესაბამის განყოფილებებს:

ა) მიაღწიონ ბავშვებისა და მოზარდთა მასობრივად ჩაბმას ტექნიკურ და მხატვრულ შემოქმედებით მუშაობაში; უზრუნველყონ დათვალიერებაში სკოლების, კლუბების, კულტურის სახლებისა და სასახლეების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების, ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურების, საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოწყობილ მოსწავლეთა ოთახების, ბავშვთა კლუბებისა და პიონერული ბანაკების აქტიურად ჩაბმა;

ბ) ადგილებზე შექმნან საორგანიზაციო კომიტეტები და შემმოწმებელი კომისიები, დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასწრებით თათბირზე განიხილონ დათვალიერებასთან დაკავშირებული საკითხები;

გ) ფართოდ ჩააბან ბავშვებს შორის ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების დანერგვის საქმეში წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების საკონსტრუქტორო ბიუროების, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებების მუშაკები და შემოქმედებითი კავშირები.

4. ძირითად ამოცანად იქნეს დასახული ის, რომ დათვალიერებამ ხელი შეუწყოს ბავშვთა შემოქმედების შემდგომ აღმავლობას, მისი იდეური მიმართულების გაძლიერებას და გამდიდრებას თანამედროვე მეცნიერების მიღწევებით, ხელოვნებისა და კულტურის ხალხური ტრადიციებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს დათვალიერების სათანადოდ ორგანიზებას სოფლის ადგილებში.

5. დათვალიერებაში გამარჯვებულთათვის დადგინდეს შემდეგი ჯილდოები: 50 დიპლომი, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი 35 სამახსოვრო მედალი „ნორჩთა შემოქმე-

დების" დათვალიერებაში გამარჯვებული და 35 სამახსოვრო საჩუქარი.

6. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ დათვალიერებების ჩატარებისათვის საჭირო ხარჯებს დათვალიერების ორგანიზატორები გაიღებენ თანაბრად.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე
შ. კიკნაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
რ. მეტრეველი

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი
ო. თაქთაქიშვილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი № 1

დამტკიცებულია საქართველოს სსრ პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ განათლებისა და საქართველოს კულტურის სამინისტროების კოლეგიების მიერ 1969 წლის 21 ნოემბერი

საკავშირო დათვალიერების — „ნორჩთა შემოქმედების"

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრკ პროფკავშირების ცენტრალური საბჭო, საკ. ალკკ ცკ, სსრკ განათლებისა და კულტურის სამინისტროები, სსრკ სოფლის მეურნეობისა და საგზაო-მიმოსვლის სამინისტროებთან, სსრკ კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა კავშირებთან, სრულიად რუსეთის თეატრალურ საზოგადოებასთან, ვ. ი. ლენინის სახ. საკავშირო სახალხო-სამეურნეო აკადემიასთან, დოსააფის ცენტრალურ კომიტეტთან, სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენასთან და სსრკ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ატარებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ „ნორჩთა შემოქმედების" საკავშირო დათვალიერებას.

საკავშირო დათვალიერება — „ნორჩთა შემოქმედება" სამშობლოსადმი ნორჩი ტექნიკოსების, გამომგონებლებისა და მკვლევარების პატაკია, იგი ნორჩი მუსიკოსების, მხატვრების, მოცეკვავეების, მსახიობების, კინომოყვარულთა შემოქმედებითი ანგარიშია.

ბავშვთა შემოქმედების მთავარი თემა უნდა იყოს სამშობლო, პარტია, კომკავშირი, ვ. ი. ლენინის ანდერძისადმი ერთგულება, მზადყოფნა კომუნიზმის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისა.

დათვალიერების მიზანია:

ამაღლდეს პიონერებისა და მოსწავლეების ცოდნისადმი, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების მიღწევებისადმი მისწრაფება, განვითარდეს მათი ნიჭი და მონაცემები.

გაძლიერდეს პიონერული და სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების როლი მოსწავლეებში ცოდნის შეძენისადმი პასუხისმგებლობისა, შემოქმედებითი დამოუკიდებლობისა და შეგნებული შრომითი საქმიანობისათვის მათი მომზადების საქმეში. გააქტიურდეს დოსაafის, სასკოლო ორგანიზაციების საქმიანობა სამხედრო პატრიოტული აღზრდის, სამხედრო-ტექნიკური ცოდნის გავრცელების, მოსწავლეთა შორის რადიოტექნიკური შემოქმედებისა და სამხედრო-ტექნიკური მოდელირების საქმეში; გაფართოვდეს ტექნიკური და კვლევითი წრეების, შემოქმედებითი კლუბებისა და სხვა კოლექტივების ქსელი (განსაკუთრებით სოფლად), სრულყოფილ იქნას ბავშვთა შორის შემოქმედებითი მუშაობის შინაარსი და ფორმები, გაძლიერდეს მისი საზოგადოებრივ-სასარგებლო მიმართულება.

კიდევ უფრო მეტად გამახვილდეს საზოგადოების ყურადღება ბავშვთა შემოქმედებისადმი, განმტკიცდეს ბავშვთა კოლექტივების მეგობრული კავშირი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, საწარმოებთან, შემოქმედებით კავშირებთან და კულტურის დაწესებულებებთან.

## დათვალიერების მონაწილენი

დათვალიერებაში მონაწილეობას ღებულობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პიონერული რაზმები და რაზმეულები, კომკავშირული ორგანიზაციები, სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სახლების, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, კულტურის სახლების, სასახლეების კოლექტივები, დოსაafის წრეები, სექციები, ლაბორატორიები და კლუბები.

## დათვალიერების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა

„ნორჩთა შემოქმედების" საკავშირო დათვალიერების მომზადებასა და ჩატარებას ხელმძღვანელობენ ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო საორგანიზაციო კომიტეტები, სკოლებში, საბავშვო სახლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის სახლებსა და სასახლეებში, კლუბებში, რაიონებსა და ქალაქებში დათვალიერების მომზადებასა და ჩატარებას ახორციელებენ საორგანიზაციო კომისიები, რომლის შემადგენლობაში შედიან კომკავშირის, განათლების, პროფკავშირების კომიტეტების, წარმოებისა და დაწესებულებების შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დათვალიერება ტარდება 1969—70 სასწავლო წლის მანძილზე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, ბავშვთა მუსიკალურ და სამხატვრო სკოლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, კლუბებში დათვალიერება ტარდება 1970 წლის იანვარში.

რაიონებში, ქალაქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში დათვალიერება ტარდება 1970 წლის თებერვალ-მარტში.

1970 წლის 1 აპრილისათვის ცენტრალური ორგკომიტეტის სახელზე რესპუბლიკის, საოლქო, საქალაქო, სარაიონო ორგკომიტეტების მიერ იგზავნება ანგარიშები, დახასიათებები საუკეთესო შემოქმედებით და კვლევით კოლექტივებზე, დათვალიერების ცალკეულ საუკეთესო მონაწილეებზე.

ნორჩი ტექნიკოსების, მხატვრების, ფოტო და კინომოყვარულთა, ნორჩ მკვლევართა საუკეთესო ნამუშევრები 1969 წლის შედეგების მიხედვით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

საუკეთესო შემოქმედებით კოლექტივებს და დათვალიერების ცალკეულ მონაწილეებს უფლება ეძლევათ მიიღონ მონაწილეობა სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში, რესპუბლიკების დღეების დროს და დაჯილდოვდებიან დიპლომებით, სამახსოვრო მედლებით, „ნორჩთა შემოქმედების დათვალიერებაში გამარჯვებული“ და სამახსოვრო საჩუქრებით.

### ნორჩი ტექნიკოსები

იმისათვის, რომ ათასობით ბავშვი ჩადგეს ცოდნის მოყვარულთა და მცდელ-დამკვირვებელთა რიგებში, შეიყვარონ ტექნიკა, რომ ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტი იყოს ტექნიკური წრეები, კლუბები, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებები, რომ მათი მუშაობა გახდეს უფრო საინტერესო, ღრმა და შინაარსიანი, ეს დათვალიერება ბავშვთა

ტექნიკური შემოქმედების პირველი საკავშირო დათვალიერების გაგრძელებად ცხადდება. დათვალიერება უნდა გახდეს ტექნიკური შემოქმედების დაუფლებისათვის ბავშვთა მასობრივ მოძრაობად. დათვალიერებაში მონაწილეობით ბავშვები განიმტკიცებენ და გაიღრმავებენ ცოდნას, შეიძენენ ახალ ჩვევებსა და გამოცდილებას, პრაქტიკულად გაეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს, კონსტრუირებას, ხელსაწყოთა და მანქანების მუშაობას. შეავსებენ სასკოლო კაბინეტებს, ლაბორატორიებს თვითნაკეთი ხელსაწყოებით, მოდელების, მცირე გაბარიტიანი მანქანების და დანადგარების, რადიოსადგურებისა და რადიოკვანძების შექმნით ისინი მიჰყვებიან ვ. ი. ლენინის ანდერძს, რომელიც ასწავლიდა ახალგაზრდობას, ყოველდღე „ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში პრაქტიკულად გადაჭრილიყო საერთო შრომის ესა თუ ის ამოცანა, დე, სულ პატარა, სულ უბრალო“.

დათვალიერება ტარდება ცოდნისმოყვარეულთა და ცდა-დამკვირვებელთა რიგებში ბავშვების მიზიდვის, ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური წრეების, კლუბების, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების, ახალგაზრდული სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების გაზრდის, მათი მუშაობის შინაარსის გაღრმავების მიზნით.

F 3917

დათვალიერება ითვალისწინებს:

ხელსაწყოებისა და მანქანების მოდელების კონსტრუირებაში მონაწილეობის მიღებას, რომელიც ასახავს თანამედროვე მოწინავე ტექნიკის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონეს და მომავლის ტექნიკას.

დამზადებას ისეთი ტექნიკური მოწყობილობისა და სამუშაო ხელსაწყოებისას, რომლებიც რაციონალიზირებულს გახდის შრომას სასკოლო სახელოსნოებში, საცდელ ნაკვეთებში, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში;

თვითმფრინავების, რაკეტების, გემების, ავტომობილების და სხვა სამხედრო და სახალხო მეურნეობის ტექნიკის მოქმედი მოდელების შექმნას, კვლევა-ძიებითი ხასიათის სამუშაოებს და საკონსტრუქტორო ბიუროების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დავალებათა შესრულებას.

თვითნაკეთი მცირე გაბარიტიანი მანქანების (სატრანსპორტო, სოფლის მეურნეობის) და სადაზგო დანადგარების, კონსტრუქციულად ახალი ან გაუმჯობესებული ხელსაწყოების, სადემონსტრაციო მოქმედი მოდელების, ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, მან-

ქანათმშენებლობის, რადიოელექტრონიკის, ელექტროტექნიკის და სხვა სასკოლო საგნების, საწარმოების ობიექტების, წარმოების კომპლექსური, ტექნოლოგიური პროცესების, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის და მექანიზაციის, ტრანსპორტის, ძრავების, მანქანების და მექანიზმების მოქმედი მოდელების შექმნას.

ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ექსპონატების ხარისხი, მათი შინაარსი, ავტორებისა და ავტორთა კოლექტივების გამომგონებლობის, კონსტრუქციების სიახლის და ორიგინალობის თვალსაზრისით, ექსპონატების თემატიკაში, აგრეთვე ასახული უნდა იყოს მოცემული ადგილმდებარეობის საჭრეწველო ან სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციფიკა.

## ნორჩი ნატურალისტები

დათვალიერება წარმოადგენს პიონერთა და მოსწავლეთა მრავალფეროვანი მუშაობის გაგრძელებას მშობლიური მხარის სიმდიდრეთა დაცვის და გამრავლების საქმეში, პასუხს იმ მიმართვისა, რომელიც მიღებული იქნა ნორჩ ნატურალისტთა მოძრაობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ნორჩ ნატურალისტთა და სოფლის მეურნეობის მკვლევართა საკავშირო შეკრებაზე.

ყოველ სკოლასთან არსებული სასწავლო-საცდელი ნაკვეთები უნდა გარდაიქმნას ნამდვილ მწვანე ლაბორატორიებად, გააქტიურდეს მონაწილეობა კვლევა-ძიებით სამუშაოებში, მოიძებნოს სოფლის მეურნეობის, მცენარეთა გამოყვანის ახალი მეთოდები, შეიქმნას ძვირფასი კულტურების ახალი ჯიშები და გადატანილი იქნეს ისინი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, განმტკიცდეს კავშირი მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებთან.

სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების, ნორჩ ნატურალისტთა წრეების, კლუბებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების, ნორჩი ნატურალისტების და ბიოლოგების ნამუშევრების შეფასება ხდება: სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, ხეხილის ბაღებში, სათბურებში, დახურულ გრუნტებში, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა თუ ფერმებში, ბიოლოგიურ წრეებში, მეთოდიკის ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად, საცდელი სამუშაოების მრავალფეროვნების გათვალისწინებით და საცდელი მუშაობის სახალხო მეურნეობის მნიშვნელობის მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენეტიკის, სელექციის, ბიოქიმიის, ბიოლოგიის, მიკრო-ბიოლოგიის, ბიოლოგიური მეცნიერების ახალი მიმართულებების— [illegible] როში სამეცნიერო ექსპერიმენტულ მუშაობაში ჩაბმის დონის მიხედვით;

მოსწავლეების ამ საცდელ მუშაობაში მიზიდვის მიხედვით, რომელიც ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დავალებით მიმართულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისაკენ, სასოფლო-სამეურნეო და ბიოლოგიური მეცნიერების მიღწევების პროპაგანდის საქმეში მონაწილეობის მიხედვით.

## ბავშვთა ხელოვნება

ნორჩი მუსიკოსები, მხატვრები, მოცეკვავეები, ფოტო და კინომოყვარულები, თეატრალური კოლექტივები დათვალიერებაში —„ნორჩთა შემოქმედება“ მონაწილეობენ შემოქმედების ცალკეული სახეობების მიხედვით.

ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს ხალხს, ავითარებდეს ადამიანებში შემოქმედებით აქტიურობას, კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას შრომისადმი, უყალიბებდეს მათ შთამაგონებელ ესთეტიკურ გრძნობას და გარემომცველი ცხოვრებისადმი ესთეტიკურ დამოკიდებულებას.

მხატვრული თვითმოქმედება—საზოგადოებრივი და ესთეტიკური აღზრდის სკოლაა.

ხელოვნების დიდი-ჩირაღდანი, რომელიც აანთეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ბავშვთა ხელოვნების პირველ საკავშირო ფესტივალზე; მისმა ნორჩმა მონაწილეებმა ნაპერწკლებივით მოსდეს მთელ ჩვენს ქვეყანას, მის ყოველ კუთხეს. ყოველი კომკავშირული ჯგუფისათვის, ყოველი პიონერული რაზმისათვის წესად იქცა: გიყვარს სიმღერები—ისწავლე სხვა ბავშვებთან ერთად, გიყვარს და იცი მუსიკის მოსმენა—დაუძახე შენთან სხვებსაც, შეგიძლია ხატვა—დაეხმარე სხვასაც იპოვონ გზა ამ ლამაზ სამყაროში. ხელოვნება უნდა გახდეს თითოეულის ცხოვრების ნაწილი.

თეატრის, მუსიკის, კინოს, სახვითი ხელოვნების ყველა საშუალებებით ბავშვებმა უნდა მოუთხრონ სამშობლოზე, მის სიდიადესა და სილამაზეზე, მასზე, თუ როგორ სრულდება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ვ. ი. ლენინის ანდერძი.

ნორჩი მუსიკოსები—პიონერული გუნდები, საგუნდო სტუდიები, ბავშვთა ორკესტრები (სიმფონიური, სასულე, ხალხურ საკრავთა), ვოკალური თუ ინსტრუმენტული ანსამბლები, პიონერული რაზმები, კომკავშირული ჯგუფები, რომლებიც აქტიურ პროპაგანდას უწევენ მუსიკას, თითოეული შემსრულებელი, ფოლკლორის ნორჩი შემკრებლები, წარმოადგენენ დათვალიერებაზე მუსიკალურ სპექტაკლებს, მიმოხილვებს, საკონცერტო პროგრამებს, ინსცენირებულ სიმღერებს, აგიტბრიგადების პროგრამებს, ლექციაკონცერტებს და სხვა.

### საბავშვო და ახალგაზრდული თეატრალური კოლექტივები

მხატვრული სიტყვის წრეები და სტუდიები, ბავშვთა თვითშემოქმედებითი თეატრები, პიონერული და კომკავშირული აგიტბრიგადები დათვალიერებაზე წარმოადგენენ მრავალაქტიან და მცირე ფორმის სპექტაკლებს, საკონცერტო პროგრამებს, „ცოცხალ გაზეთებს" ლიტერატურულ მუსიკალურ კომპოზიციებს და ა. შ.

**ნორჩი მოცეკვავეები**—მოცეკვავეთა კოლექტივებს, ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, საბალეტო სტუდიებს, წრეებს, მასობრივი ცეკვების სკოლებს, ცალკეულ შემსრულებლებს შეუძლიათ წარმოადგინონ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ეროვნული და სპორტული ცეკვები, ინსცენირებები, სამეჯლისო ცეკვები და ა. შ.

**ნორჩი კინომოყვარულები**—თვითშემოქმედებითი სტუდიების-წევრები, კოლექტივები, კინომოყვარულთა წრეები, აგრეთვე ცალკეული კინომოყვარულები, რომლებიც იღებენ 16 მმ ან 8 მმ ყოველგვარი ტიპის კინოკამერებით, წარმოადგენენ ფილმებს, მიძღვნილს სამშობლოსადმი, კომკავშირული და პიონერული სიქმიანობისადმი. მათი ნამუშევრების შეფასებისას მხედველობაში მიიღება თემის დამოუკიდებელი გადაწყვეტა, ფილმის მხატვრული ღირსება, გამომხატველობითობა, ნაწარმოების გამართული ენა.

**ნორჩი მხატვრები და ფოტომოყვარულები**—თავიანთ ნამუშევრებს წარმოადგენენ ბავშვთა სახვითი ხელოვნებისა და ფოტოსურათების გამოფენაზე—„სამშობლო".

გამოფენაზე მიიღება, როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური ნამუშევრები (ფოტოსურათები, ნახატები, ნაძერწები, მხატვრული კვეთა ხეზე, მოზაიკური და ჩრდილ-სინათლით გადაწყვეტილი პანოები, აპლიკაციები, კომპოზიციები ბუნებრივი მასა-

ლისაგან, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ნა-ქარგები, საბავშვო სათამაშოები, აგრეთვე ნორჩ ხელმარჯვეთა ნამუშევრები: ხალიჩის ქსოვის, ძვალსა და ხეზე კვეთის ნიმუშები, რომელიც ასახავს ხალხური ხელოვნების ტრადიციებს, ეროვნულ თვითმყოფად ხელოვნებას, სასკოლო გამოფენების, მუზეუმების, პიონერული ოთახების, სოფლის კლუბების, პიონერთა ბანაკების გაფორმების ესკიზებს.

ბავშვთა ნამუშევრების შეფასებისას ყურადღება ექცევა თემის სიახლესა და აქტუალობას, მხატვრულ გამომსახველობას, კომპო-ზიციური გადაწყვეტის ორიგინალობას.

ბავშვთა ნახატების მსოფლიო გამოფენაზე „მე ვხედავ სამყა-როს" წარმოდგენილი საუკეთესო ნამუშევრები ექსპონირებული იქნება საკავშირო გამოფენაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
პროფესიული კავშირების რესპუბლიკური
საბჭოს პრეზიდიუმის, ალკკ ცენტრალური
კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ
განათლებისა და საქართველოს სსრ
კულტურის სამინისტროების
კოლეგიების მიერ
1969 წლის 21 ნოემბერი

ნ. ი. ლალიძე—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, თავმჯდომარე

უ. პ. ობოლაძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე

ბ. ფალავანდიშვილი—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე

გ. აბაიშვილი—საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების გამგე, თავმჯდომარის მოადგილე

ა. ი. კალანდარიშვილი—საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სამმართველოს უფროსი, თავმჯდომარის მოადგილე

ქ. მეძმარიაშვილი—მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

შ. ა. დევდარიანი—პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

ბ. ა. შელია—ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორი

ა. ე. ჩხიკვაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი

გ. ა. ლომიძე—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგის მოადგილე

ჯ. მუჯირი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური კაბინეტის გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. გ. ეპიტაშვილი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

ც. ი. მირესაშვილი — პედაგოგიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

ი. ვ. ბაქრაძე—ნორჩ ნატურალისტთა რესპ. სადგურის დირექტორი

ი. ნ. ცერცვაძე—გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი

მ. ი. მაჭავარიანი—ჟურნალ „დილას“ რედაქტორი

ა. კაპანაძე—ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე

ს. ი. აბულაძე—დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ო. გორდელი — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი

ნ. კეცხოველი—ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი

ე. სახვაძე—გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ განყოფილების გამგე

ნ. გამყრელიძე—საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემების უფროსი რედაქტორი

ნ. ი. ჩიხორია—ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი

დ. ი. ოგანეზაშვილი—გაზეთ „მოლოდოი გრუზიის“ განყოფილების გამგე

ნ. სანიშვილი—კინორეჟისორი

მ. ფოცხიშვილი—პოეტი

ვ. სულაქველიძე—პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხატვრული აღზრდის განყოფილების გამგე

ქ. კინწურაშვილი—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 22 დეკემბრის ბრძანება № 720

### თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომელთა გამოსწორების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე დ. ბექაური):

ა) 10 იანვრამდე, ადგილობრივ საბჭოებთან ერთად, საფუძვლიანად შეისწავლოს რაიონში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობა, გაგამოარკვიოს ცალკეულ სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები, დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი სკოლიდან ჩამოცილებული ბავშვების სწავლებაში ჩასაბმელად; სასტიკი სასჯელი დაადოს იმ სკოლის ხელმძღვანელებს, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების საქმეს;

ბ) სკოლების ხელმძღვანელებთან ერთად გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი, რათა სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, სახელოსნოები უზრუნველყოფილი იქნას სათანადო მოწყობილობებით, დაზგებით, დანადგარებით, ელექტროგაყვანილობით, წყლით, დაბნელებით, ამწოვი კარადებით, ხელსაწყო-იარაღებით, მოდელებით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლებში თანა-

მედროვე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას და ამ მიზნით რამდენიმე სკოლაში სანიმუშოდ მოაწყოს ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტები. სკოლებში მოაწყოს გეოგრაფიის მოედნები და მხარეთმცოდნეობის მუზეუმები;

დ) გაატაროს აუცილებელი ღონისძიებანი, რათა სასწავლო-საცდელი ნაკვეთები ბიოლოგიისა და ქიმიის სწავლებისას სოფლის მეურნეობაში მოსწავლეთა საცდელი მუშაობის სანიმუშო ლაბორატორიებად იქცნენ; აღმოფხვრას ის დაუშვებელი გულგრილობა და უყურადღებობა, რასაც რაიონის სკოლები იჩენენ სასწავლო-საცდელი ნაკვეთების მოვლისა და დაცვის საქმეში;

ე) არსებითად გარდმაქნას კონტროლი და დახმარება სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე, სასწავლო წლის ბოლომდე საფუძვლიანად შეისწავლოს რაიონის ყველა სკოლის მუშაობა, ნარკვევი მასალები რეგულარულად განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და შედეგები ბრძანებების სახით დაიყვანოს რაიონის სკოლებამდე. პრაქტიკაში შემოიღოს და რეგულარულად მოახდინოს სკოლებისათვის მიცემული მითითებების შესრულების შემოწმება;

ვ) სასწავლო წლის მე-4 მეოთხედში საგანგებოდ შეისწავლოს მოხსენებით ბარათში აღნიშნული სუსტად მომუშავე სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მუშაობა და იმათ მიმართ, რომლებსაც რადიკალურად არ ექნებათ გარდაქმნილი მუშაობა, დააყენოს საკითხი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

ზ) არ დაუშვას ამა თუ იმ საგნის შესწავლისათვის გათვალისწინებული სასწავლო საათების თვითნებური შეკვეცა; უზრუნველყოს თვითოეულ საგანში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გაკვეთილების ჩატარება. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გამო გაცდენილი საათების ანაზღაურება მოახდინოს დამატებითი საათებისა და იანვრისა და მარტის არდადეგების ხარჯზე;

თ) საგნის უცოდინარობის გამო სათანადო წესის დაცვით, წარმოადგინოს პროექტი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მ. ასრათაშვილისა და გ. ბადალაშვილის (დიდი თონეთის საშ. სკოლა), ბიოლოგიის მასწავლებელ თ. ქავთარაძის (დიდი თონეთის საშ. სკოლა) თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

2. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის მანგლისის საშუალო სკოლის დირექტორს ბ. სულაბერიძეს, დიდი თონეთის საშუალო სკოლის დირექტორს

გ. ლონდარიძეს, ალგეთის 8-წლიანი სკოლის დირექტორს ა. ჯარაკეზოვს—გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური, მკაცრად იქნან გაფრთხილებულნი, რომ თუ არსებითად არ გააუმჯობესებენ მუშაობას, მოხსნილი იქნებიან დირექტორის თანამდებობიდან.

3. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის გატარების საქმისადმი უყურადღებო დამოკიდებულების გამო წინწყაროს საშუალო სკოლის დირექტორს მ. საკალიძეს გამოეცხადოს საყვედური.

4. სასკოლო ინტერნატში საყოფაცხოვრებო და სააღმზრდელო მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის მანგლისის საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატის გამგეს ს. ქავთარაძეს გამოეცხადოს საყვედური.

5. რაიონის განათლების განყოფილებამ ეს ბრძანება და მოხსენებითი ბარათი განიხილოს რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და სუსტად მომუშავე მასწავლებლებს დაადოს სათანადო სასჯელი, დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი მოხსენებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. აკ. ჩხიკვაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 18 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს,
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

## მოხსენებითი ბარათი

### თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებისა და ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების შესახებ

1969 წლის 17 ნოემბრიდან 24 ნოემბრამდე ბრიგადამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორების შ. ლომიძის (ხელმძღვანელი), ქ. გაჯილაროვის, ლ. ბასილაძის, თ. ჩიტაძის, ნ. ბენდიაშვილის, მეთოდისტების გ. გიორგობიანის, გ. ჯავახაძის, თ. ხურცილავას, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაკების ა. ხოშტარიას, შ. ოთარაშვილის, შ. კაპანაძის და პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის მუშაკის ჯ. დადიანის შემადგენლობით შეისწავლა თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებისა და ამავე რაიონის ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

რაიონის განათლების განყოფილება და მასთან არსებული პედაგოგიური კაბინეტი დაკომპლექტებულია სათანადო სტაჟისა და ცენზის მქონე მუშაკებით. ისინი სპეციალობების მიხედვით კარგად არიან შერჩეულნი: განყოფილების გამგე დ. ბექაური (მათემატიკოსი), ინსპექტორები: ა. აფციაური (ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი), ზ. ოვაქიმიანი (ფიზიკა-მათემატიკოსი), თ. მელაძე (ქართული ენისა და ლიტერატურის), პედაგოგიური კაბინეტის გამგე მ. ჯმუხაძე (ისტორიკოსი), მეთოდისტები ი. ალხანიდი (ქიმია-ბიოლოგი), მ. აღდგომელაშვილი (დაწყებითი განათლების სპეციალისტი). მიმდინარე სასწავლო წელს განათლების საბჭოს სხდომებზე განხილულია საშემოდგომო გამოცდების შედეგები, რაიონის მასწავლებელთა ტარიფიკაციის მდგომარეობა,

სკოლების მიერ ცენტრალიზებული თანხების ათვისების შედეგები, ფინანსიური კლასებისა და კლასკომპლექტების დამტკიცების მდგომარეობა, სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო წლის პირველი დღის შედეგები, რაიონის სკოლების მიერ სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმების შედეგები, სკოლების ზამთრისათვის მზადებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების მდგომარეობის საკითხი; რაიონის დაწყებით სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგები, დაწყებითი სამხედრო მომზადების და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მდგომარეობა სწავლებაში.

შემოწმებით დადგინდა, რომ განათლების განყოფილება არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე: არ ხდება სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების განხილვა განათლების საბჭოს სხდომებზე და მისი განზოგადება და დაყვანა სკოლებამდე; არ სწარმოებს სკოლებისათვის მიცემული მითითებების შესრულების შემოწმება.

სკოლებისადმი განათლების განყოფილების არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობით აიხსნება ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელისა და მასწავლებლის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმისადმი.

სპეციალობების მიხედვით სათანადოდ არ არიან შერჩეული სკოლების დირექტორები და მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში. ზოგ შემთხვევაში ისინი ან ერთიდაიგივე, ან მონათესავე საგნების სპეციალისტები არიან.

რაიონის სკოლებს აკლია მათემატიკის, ფიზიკა-ქიმიის, ბიოლოგიის, უცხო ენების და დაწყებითი კლასების მასწავლებლები და ზოგჯერ ამ საგნებს ასწავლიან არასპეციალისტები, ხოლო დაწყებით კლასებში—საშუალო განათლების მქონე პირები. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით რაიონის სკოლებში გაცდენილია 11—12 სასწავლო დღე, რითაც აიხსნება ნაწილობრივ მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა.

ღარიბია რაიონის სკოლების მატერიალური ბაზა, სათანადოდ არ არის გაშლილი საინიციატივო მშენებლობა, სუსტად ეხმარებიან სკოლებს საშეფო ორგანიზაციები.

შემოწმებით გამოირკვა, რომ თეთრიწყაროს ქართული, რუსული და მანგლისის რუსული საშუალო სკოლების დირექტორები ქ. ცხვედიანი, გ. სევასტოვი და ზ. კალბაზოვი ბეჯითად და გულმოდგინედ მუშაობენ იმისათვის, რომ ღრმად და საფუძვლიანად ჩაწვდნენ ყველა მასწავლებლის მუშაობას, მათ მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები მოიცავენ გაკვეთილის აკადემიურ, იდეურ და მეთოდურ მხარეებს და არსებით დახმარებას უწევენ მასწავლებლებს მუშაობაში.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქართული ენის სწავლება დაწყებით კლასებში. დიდი თონეთის საშუალო სკოლის პირველი კლასის მასწავლებელი ლ. ჩინჩალაძე მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს ატარებს: ერთ მოსწავლეს აკითხებს, სხვებს კი ავალებს წაიკითხონ ხმადაბლა, ეს კი იწვევს ხმაურს და მასწავლებელი ვერ ამჩნევს დაშვებულ შეცდომებს. მასწავლებელი ხშირად უშვებს შეცდომებს მეტყველებაში, ვერ აძლევს მოსწავლეებს დედანის მიხედვით წერის ნიმუშს. ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება მე-3 კლასის მასწავლებლის მ. მუჯირიშვილის მუშაობა. იგი არ ატარებს კლასში სალექსიკონო მუშაობას, მასწავლებლის მეტყველება გაუმართავია, ხმამაღლა კითხვა არ ჩაუტარებია, მოსწავლეები ვერ ფლობენ მხოლობითისა და მრავლობითის შეთანხმებას რიცხვში. გაკვეთილზე მოსწავლეები არ არიან ყურადღებით, არასწორად იქნა განსაზღვრული არსებითი სახელი.

საკლასო წერის რვეულები არ არის მოვლილი. წერითი სამუშაოები არ არის სუფთად და ფაქიზად შესრულებული.

კოდის საშუალო სკოლის მე-2 კლასის მასწავლებელი დ. სეხნიაშვილი არ ასწორებს თხრობის დროს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ ენობრივ და აზრობრივ შეცდომებს, ყურადღებას არ აქცევს აღმზრდელობით მომენტს, არ ატარებს სალექსიკონო მუშაობას, არ აწარმოებს ვარჯიშს გრამატიკული მასალის ირგვლივ.

თეთრიწყაროს საშუალო სკოლის მე-3 კლასის მასწავლებლის ჯ. არუნაშვილის საუბარი ახალი სამგორის შესახებ არ იყო სრულყოფილი, დაბალია მოსწავლეთა კითხვის კულტურა. სუსტად ატარებს სალექსიკონო მუშაობას: მაგ. „მაზარა“ განმარტეს, როგორც „ზემოთა ტანსაცმელი“, „ფერმკრთალი“—„ავადმყოფს რომ ფერი აქვს“ და სხვ. ბუნდოვნად ახსნა ძირითადი მომენტები მოთხრობაში „ქართველი მედროშე“.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება მანგლისის ქართული საშუალო სკოლის მე-2 კლასის მასწავლებლის მ. მუჯირიშვილის მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს რუსული ენის სწავლებას დაწყებით კლასებში.

თეთრიწყაროს საშუალო სკოლის მე-$2^1$ კლასის მასწავლებელი ე. წიკლაური სათანადოდ ვერ ფლობს რუსულ ენას, გაკვეთილს ატარებს ქართულ ენაზე, მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებს; უფრო მეტიც, მასწავლებლის მიერ დაწერილ გაკვეთილის გეგმებში დაშვებულია შეცდომები. ამავე სკოლის მე-$2^2$ კლასის მასწავლებელი მ. ნოვოსელცოვა ყოველთვის არ უსწორებს მოსწავლეებს დაშვებულ შეცდომებს, გაკვეთილის პროცესში კლასი არ არის აქტიურად ჩაბმული. კითხვით წინადადებას თვით მასწავლებელი ვერ წარმოთქვამს სწორად, არასწორად ხსნის ზოგიერთ სიტყვას, არ ამოწმებს შეცდომების გასწორებას. საკლასო წერის რვეულები უსუფთაოდ არის წარმოებული. მასწავლებელი ვერ ფლობს ქართულ ენას, რაც ხელს უშლის მას მოსწავლეებთან კონტაქტის დამყარებაში. მანგლისის ქართული საშუალო სკოლის მე-2 კლასის მასწავლებელი ო. გათოვი ვერ ფლობს რუსულ ენას, უშვებს ენობრივ შეცდომებს. მოსწავლეები არასწორად სვამენ მახვილებს სიტყვების წარმოთქმისას, რის გასწორებასაც მასწავალებელი ვერ ახერხებს. საკლასო წერის რვეულებში არაა გამოწერილი შეცდომები.

დიდი თონეთის საშუალო სკოლის მე-2 კლასის მასწავლებელი მ. პაპიანცი მეტყველების დროს უშვებს შეცდომებს, ბავშვები ვერ კითხულობენ გამომეტყველებით ხოლო მასწავლებლები მ. ასრათაშვილი და გ. ბადალაშვილი სრულიად ვერ ფლობენ რუსულ ენას. მე-4 კლასში გაკვეთილზე მ. ასრათაშვილი უშვებდა უამრავ შეცდომას და, რაც მოუთმენელია, აიძულებდა მოსწავლეებს მათ მიერ სწორად გამოთქმული, გაემეორებინათ შეცდომით. მასწავლებელს გაკვეთილი ძირითადად ქართულ ენაზე მიჰყავს.

ასევე სუსტი გაკვეთილი ჩაატარა მასწავლებელმა გ. ბადალაშვილმა მე-3 კლასში, მაგრამ იგი გაკვეთილზე უშვებს ნაკლებ შეცდომებს და მოსწავლეებიც უფრო აქტიურნი არიან. ნაკლოვანებებით ხასიათდება მასწავლებლების ლ. ავგროზაშვილის, ე. ჩართოლანის (კოდის საშ. სკოლა), მ. რეხვიაშვილის (ასურეთის საშ. სკოლა) მუშაობა.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებით ხასიათდება არითმეტიკის სწავლება დაწყებით კლასებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტად მუშაობს ასურეთის საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელი მ. წულუკიძე, გაკვეთილზე იგი ადგილს არ უთმობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, ზეპირ ანგარიშს, გამრავლების ტაბულების გამეორებას ატარებს გაუმართავად, კმაყოფილდება მხოლოდ ერთგვაროვანი, სტანდარტული კითხვებით (რამდენია 3×3; 9×9 და ა. შ).; საკონტროლო წერების ჩატარების დროს არ უზრუნველჰყოფს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას; საწერ თემებს აძლევს ერთ ვარიანტად, არ უშლის მოსწავლეებს გადაულაპარაკონ ერთმანეთს; წინასწარ უცხადებს მათ: თუ უხერხულობას წააწყდებით, შემეკითხეთ და გიპასუხებთო და კიდევაც ასრულებს მას. საკონტროლო წერის დროს ცალკეულ მოსწავლეებს ინდივიდუალურად ეხმარება. მანგლისის ქართული საშუალო სკოლის I კლასის მასწავლებელ თ. შავშიშვილს დამოუკიდებელი სამუშაო არ შეუმოწმებია, ყურადღებას არ აქცევს ციფრების დამწერლობას, ინდივიდუალური გამოკითხვის დროს ნიშანს არ წერს, დავალებას არ აძლევს.

თეთრიწყაროს ქართული საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელს ასლანიშვილს გაკვეთილის არცერთი მომენტი არ დაუცვია. მოსწავლეებმა არ იციან ნულებით დაბოლოებული რიცხვების გამრავლება, არ აქცევს ყურადღებას ციფრების დამწერლობას. მასწავლებელმა მცდარად ახსნა ნულებით დაბოლოებული რიცხვების გაყოფა, მაგალითიც არასწორად შეადგინა. დამოუკიდებელი სამუშაო არ სრულდება, დავალება მოსწავლეებს არ ეძლევა, საკონტროლო წერის რვეულებში შეცდომების გასწორება არ სწარმოებს. მოსწავლეები ვერ ფლობენ რიცხვის 10-ზე გაყოფის წესებს.

ანალოგიური მდგომარეობაა დიდი თონეთის (მასწ. ლ. ჩინჩალაძე, გ. პაპიანცი, თ. შავშიშვილი, მ. მუჯირიშვილი), ასურეთის (მასწ. მ. რეხვიაშვილი) საშუალო სკოლებშიც.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ა. ჩართოლანი და ლ. ავგროზაშვილი (კოდის ქართული საშ. სკოლა), ე. ხიდურელი, ქ. კობახიძე, ნ. შაუთიძე (ასურეთის ქართული საშ. სკოლა), ლ. ჯინჯიხაძე, ც. ჩიმაკაძე (თეთრიწყაროს ქართული საშ. სკოლა), ვ. მინდორაშვილი, ი. თაყაიშვილი, ლ. წიკლაური (მანგლისის ქართული საშ.

სკოლა), ე. დანელიანი, გ. ნელიუდოვა (თეთრიწყაროს ქართული საშ. სკოლა), მ. იორბალიძე (მანგლისის რუსული საშუალო სკოლა) ისინი სისტემატურად ემზადებიან გაკვეთილებისათვის და სათანადო დონეზე ატარებენ მას. მოსწავლეთა მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია.

მაგრამ ამასთან, სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება რაიონის რიგ შემოწმებულ სკოლებში.

კოდის ქართული საშუალო სკოლის V—VII კლასებში მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ახალგაზრდა პედაგოგი ზ. ჩოგოვაძე. ამ კლასებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას საგნის სწავლება. ჩოგოვაძე გამოუცდელი პედაგოგია, გაკვეთილებს დაბალ დონეზე ატარებს, სკოლის დირექცია კი მას საჭირო დახმარებას და კონტროლს არ უწევს. ამავე სკოლის VIII—X კლასებში ქართულ ენასა და ლიტერატურას გამოცდილი და მცოდნე პედაგოგები (ა. მარქაროვი, მ. მარქაროვი) ასწავლიან, მაგრამ დაბალ დონეზეა მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა. ამ სკოლის VIII და IX კლასებში ჩატარდა საკონტროლო წერა. მოსწავლეებს დასაწერად მიეცათ იოლი თემები „ბუნების სურათები ი. ცურტაველის „შუშანიკის წამებასა“ და გ. მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (VIII კლასი) „ბუნება ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში“, გ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძის“ გარჩევა (IX კლასი). საკონტროლო წერითი ნამუშევრების შედეგები არადამაკმაყოფილებელია: VIII კლასში „სამი“ მიიღო შვიდმა მოსწავლემ, დაიწერა ამდენივე „ორი“, არცერთ მოსწავლეს არ მიუღია „4“ და „5“, IX კლასში კი 16 ნამუშევრიდან 6 შეფასდა „ორზე“. ამ კლასშიც არ დაწერილა არც ერთი „4“ და „5“.

ძალზე დაბალია მოსწავლეთა წერითი კულტურა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში შეხვეტილის ქართულ 8-წლიან სკოლაში. მასწავლებლები თ. წიკლაური და ლ. წიკლაური სუსტად მუშაობენ, არ აწარმოებენ მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას. მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულია უამრავი ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, სტილისტური, აზრობრივი და ფაქტობრივი შეცდომები და ნამუშევრები ლიბერალურად შეფასებულია დადებითი ნიშნით.

სუსტი გაკვეთილი ჩაატარა წინწყაროს რუსული საშუალო სკოლის მე-6 კლასში მშობლიური ენისა და ლიტერატურის მას-

წავლებელმა ლ. არუთინოვამ. გაკვეთილის დაწყებისას მოსწავლეებმა არ იცოდნენ ენის გაკვეთილი უნდა ყოფილიყო, ლიტერატურის. ბოლოს შეთანხმდნენ ლიტერატურაზე. დავალებად მიცემული ჰქონდათ ლერმონტოვის ლექსი „Парус". ლექსის ზეპირად გადმოცემისას მოსწავლეები უშვებდნენ ენობრივ შეცდომებს, მასწავლებელი კი არ უსწორებდა. იგი ზოგჯერ მოსწავლეებს აძლევდა არასწორ განმარტებას. არ ჩაუტარებია ლექსიკური მუშაობა. ახალ მასალას ზერელედ ხსნის, მხოლოდ ტექსტის წაკითხვით კმაყოფილდება, მასწავლებელი მოსწავლეებს არ აფასებს, საკლასო-საშინაო წერის რვეულებს არ ასწორებს, გაკვეთილზე არა აქვს სათანადო დისციპლინა; ამავე სკოლის მე-8 კლასის მასწავლებელი დ. ანოზოვი ძალიან იშვიათად უსწორებს მოსწავლეებს ენობრივ შეცდომებს. მოსწავლეები სუსტად ფლობენ სალაპარაკო ენას. ახალი მასალა მასწავლებელმა კარნახით ჩააწერინა მოსწავლეებს რვეულებში. საშინაო დავალებად მისცა მხოლოდ თეორიული მასალა, პრაქტიკული ხასიათის სავარჯიშოები არ მიუცია.

მასწავლებელმა ი. დიმოვმა მე-6 კლასში ჯერ ჩაატარა ფრონტალური გამოკითხვა, შემდეგ კი შეუდგა საშინაო დავალების შემოწმებას, ზოგჯერ დაფაზე მოსწავლეთა მიერ არასწორად დაწერილ სიტყვებსა და წინადადებებს მასწავლებელი არ ასწორებს, მოსწავლეებს უძნელდებათ უქვემდებარო წინადადებების დასახელება. მხოლოდ ზარის შემდეგ დაიწყო ახალი მასალის განმტკიცება. საკლასო-საშინაო და საკონტროლო წერების რვეულებს მასწავლებელი უყურადღებოდ ასწორებს.

ძალზე დაბალ დონეზეა დაყენებული მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დმანისის რუსულ რვაწლიან სკოლაში; სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს მე-4 და მე-8 კლასების მოსწავლეებმა. მასწავლებელი კ. ხარატიდი არ ატარებს არავითარ ლექსიკურ მუშაობას. მოსწავლეები ვერ მეტყველებენ რუსულ ენაზე. მე-8 კლასის მოსწავლეებს მიეცათ დასაწერად 50-სიტყვიანი კარნახის ტექსტი. მოსწავლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ იგი არადამაკმაყოფილებლად შეასრულა.

მანგლისის რუსული საშუალო სკოლის მეხუთე კლასების (მასწავლებლები ვ. მელიქოვა და ნ. ჩერნოვა) მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს, მათ ვერ დაასახელეს განუსაზღვრელი ფორმის ზმნები, მოსწავლეები ძალიან ცუდად

კითხულობენ. გაკვეთილზე მოსწავლეების შეფასებას არ ახდენენ და საშინაო დავალებას აძლევენ ზარის შემდეგ. მასწავლებლები საკლასო-საშინაო წერის რვეულებს არ ასწორებენ. [illegible] საშუალო, დმანისისა და შეხვეტილის რვაწლიან სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული წრეობრივი და მეთოდური მუშაობა.

თეთრიწყაროს ქართულ საშუალო სკოლაში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება. მასწავლებელმა მ. ნოვოსელცოვამ კარგად ჩაატარა გაკვეთილი მე-10 კლასში, იგი მომზადებულია, სათანადოდ არის დაუფლებული სწავლების ხერხებს და მეთოდებს. მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს პროგრამული მასალის დამაკმაყოფილებელი ცოდნა.

მასწავლებელმა ნ. სევასტოვამ მე-10 კლასში არაორგანიზებული გაკვეთილი ჩაატარა. გაკვეთილი დაიწყო ფრონტალური გამოკითხვით. შემდეგ მიმართა მოსწავლეებს, რომ წინა გაკვეთილზე მიცემული ჰქონდათ მაიაკოვსკის პოემა „ვ. ი. ლენინი", მაგრამ რადგანაც მაიაკოვსკის მძიმე ენა აქვს (? !), მე კიდევ წაგიკითხავთ პოემასო. მასწავლებელმა წაიკითხა პოემა ყოველგვარი კომენტარის და ლექსიკური მუშაობის გარეშე. მასწავლებელმა ზუსტად ვერ გამოკვეთა საშინაო დავალება. იგი არ უსწორებს მოსწავლეებს ენობრივ შეცდომებს, ახალი მასალა არ განუმტკიცებია. გაკვეთილის მსვლელობაში მოსწავლეები არ არიან ჩაბმული, ლაპარაკობს მხოლოდ მასწავლებელი, მოსწავლეთა ხმა კი არ ისმის. სკოლაში არ არის შექმნილი რუსული ენის წრე და მეთოდგაერთიანება.

კარგად მუშაობს გერმანული ენის მასწავლებელი მ. კობაიძე (კოდის საშუალო სკოლა). VI—VII კლასის მოსწავლეებმა განვლილი მასალის მაღალი მომზადება გამოამჟღავნეს. სათანადო სიმაღლეზე დგას მათი კითხვის ტექნიკა. თავისუფლად ჰყვებიან შესწავლილ ტექსტებს, შეგნებულად აქვთ შეთვისებული გრამატიკული მასალა; მასწავლებელი მ. კობაიძე გაკვეთილის პროცესში ოსტატურად ახერხებს საშინაო დავალებად მიცემული მთელი მასალის გამოკითხვას. ამ მუშაობაში იგი აბამს კლასს. ნიშანზე გამოძახებული მოსწავლის ცოდნის შემოწმება ხდება მთელი კლასის მონაწილეობით. შესწავლილი ტექსტის განმტკიცების მიზნით მასწავლებელი მიმართავს საკლასო სავარჯიშოებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის დონის ამაღლებას.

ასეთივე ნაყოფიერ მუშაობას ატარებს მასწავლებელი ზ. ჩი-კლაური (დიდი თონეთის საშუალო სკოლა). VII კლასის მოსწავლეებმა კარგი მომზადება გამოავლინეს. მასწავლებელი [illegible] მასალის განმეორებისას ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას. კარგად ავარჯიშებს მოსწავლეებს ზეპირმეტყველებაში.

ჯერ კიდევ ვერ აღწევენ სასურველ შედეგებს მასწავლებლები ს. თეთრაძე (მანგლისის საშ. სკოლა) და ლ. გოგლიძე (ასურეთის საშ. სკოლა). მიუხედავად იმისა, რომ ეს მასწავლებლები კარგად ფლობენ გერმანულ ენას და წლების მანძილზე ასწავლიან ამ საგანს, მათი მოსწავლეების მომზადების დონე IX—X კლასებში დაბალია და ვერ პასუხობს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ეს მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ ისინი არ იყენებენ სწავლების აქტიურ მეთოდ-ხერხებს. მათი გაკვეთილები ერთფეროვანია. ძირითადი მუშაობა გაკვეთილზე ტექსტის კითხვითა და თარგმნით იფარგლება. ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს ტექსტის ირგვლივ კითხვების დასმაზე და პასუხის გაცემაზე.

დაბალხარისხოვან გაკვეთილებს ატარებს მანგლისის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ვ. ქავთარაძე (არასპეციალისტი). იგი სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს.

შემოწმებულ სკოლებში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული ტექნიკური საშუალებები. არ არის შექმნილი უცხო ენების კაბინეტები.

შემოწმებით დასტურდება, რომ თეთრიწყაროს რაიონის სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა ნაწილი კეთილსინდისიერად ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, სათანადოდ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის და დამაკმაყოფილებელ შედეგებს აღწევს საგნის სწავლების საქმეში.

ასეთ მასწავლებელთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ მ. ხახუტაშვილი (კოდის საშ. სკოლა), ს. ხოჯაბეგოვა (ბოგვის საშ. სკოლა), გ. დავიდოვა, ა. მანველიძე (მანგლისის ქართული საშ. სკოლა), ა. იორბალიდი (მანგლისის რუსული საშ. სკოლა), ნ. ვასილიადი (თეთრიწყაროს რუსული საშ. სკოლა).

ამავე დროს რიგი სკოლების მათემატიკის მასწავლებლები ნაკლებ პასუხისმგებლობას იჩენენ საგნის სწავლების საქმისადმი, არ მუშაობენ თავისთავზე, საჭირო მომზადების გარეშე ატარებენ

გაკვეთილებს და ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მომზადების სათანადო დონეს. ასე მაგალითად: სუსტ მომზადებას ამჟღავნებენ კოდის საშუალო სკოლის მე-$8^2$ კლასის მოსწავლეები. შემოწმების დღეს VIII კლასში მასწავლებელს გეგმით გათვალისწინებული გეომეტრიის საკონტროლო წერაზე ვერცერთმა მოსწავლემ ვერ დაძლია სამუშაო, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელ ვ. რამაზაშვილს საწერ თემად საკმაოდ ადვილი ამოცანები ჰქონდა შერჩეული. იმავე მასწავლებლის VIII კლასის მოსწავლეები გეომეტრიის პროგრამული საკითხების უცოდინარობას იჩენენ: ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან ნაკვთების მსგავსების განსაზღვრას სათანადო თეორემისაგან, არ ესმით რატომ არის ორი კვადრატი ერთმანეთის მსგავსი. კლასის ვერცერთი მოსწავლე ვერ ახერხებს ბლაგვკუთხა სამკუთხედის არაბლაგვი კუთხის წვეროდან სიმაღლის დაშვებას. მასწავლებელი გვერდს უვლის ამ გარემოებას და არ განუმარტავს მოსწავლეებს გაუგებარ საკითხებს. ამასთან ერთად, მასწავლებელი ორი მსგავსი მრავალკუთხედის თითო მსგავსებული გვერდითა და ერთ-ერთი ფართობით მოითხოვს მოსწავლეთაგან მეორე მრავალკუთხედის გვერდების განსაზღვრას, რაც შეუძლებელია. ყველაფერი ეს საგანში მასწავლებლის მომზადების არასაკმაო დონეზე მიუთითებს.

ბოგვის საშუალო სკოლის X კლასის მასწავლებელი თ. დალაქიშვილი გაუმართავად ატარებს გაკვეთილებს, არ ახდენს გავლილი მასალის განმეორებას. ამის გამო მოსწავლეებს არ გააჩნიათ საჭირო ცოდნა ტრიგონომეტრიულ ფუნქციებსა და მათ თანაფარდობათა შესახებ. ვერ განსაზღვრავენ ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს, არ ესმით ცნობები ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა განსაზღვრისა და ცვლილებების არეებზე, ვერ ახერხებენ ტრიგონომეტრიულ გამოსახულებათა ელემენტარულ გარდაქმნებს. ადგილი არ ეთმობა გაკვეთილზე მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას. მასწავლებელი უმეტეს შემთხვევაში დაფასთან მომუშავე მოსწავლეს თვითონ ურჩევს მაგალითების ამოხსნის გზებს და, ამავე დროს, არარაციონალურს.

ასურეთის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეთა სუსტ მომზადებაზე მიუთითებს ის, რომ 10 მოსწავლიდან, ალგებრა და ელემენტარულ ფუნქციებში მოწყობილ წერაზე, ექვსმა მოსწავლემ მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ საწერი თემა მოცულობითა და სიძნელის მხრივ მეტად ადვილი იყო.

დაბალ დონეზე ჩაატარა IX კლასში ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილი თეთრიწყაროს ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელმა ე. ასანიშვილმა. მოსწავლეებმა არ იცოდნენ გაკვეთილის მასალა—კვადრატული ფესვის ამოღება ირაციონალური რიცხვებიდან, თეორემა „არ არსებობს რაციონალური რიცხვი, რომლის კვადრატი უდრის 2-ს“; სუსტად იციან მოსწავლეებმა გავლილი მასალა. მასწავლებელმა სათანადოდ ვერ შესძლო ახალი მასალის, თანაზომადი და უთანაზომო მონაკვეთების ახსნა. მან გარკვევით არ მისცა კლასს ორი მონაკვეთის საერთო საზომის განსაზღვრა. თეორემა, კვადრატის გვერდის და მისი დიაგონალის უთანაზომობის შესახებ, დაამტკიცა წინააღმდეგობის მეთოდის გამოყენებით, მაგრამ მასწავლებელმა თეორემის დამტკიცებისას არ დაიცვა სათანადო თანმიმდევრობა. მან დაუშვა მეცნიერული ხასიათის შეცდომები. მაგ. მასწავლებელი თეორემის დამტკიცების შემდეგ აკეთებს დასკვნას „ე. ი. არ არსებობს რიცხვი, რომლის კვადრატი უდრის 2-ს“; განვლილი მასალის განმეორებისას კლასს ეკითხება „რას წარმოადგენს „$y=k_x+b$—ფუნქციის გრაფიკი“? როცა პასუხს ვერ ღებულობს, თვითონ ამბობს „$y=kx+b$ ფუნქციის გრაფიკი წარმოადგენს წრფეს, რომელიც დაშორებულია კორდინატთა სათავიდან b ერთეულით მარჯვნივ, თუ b დადებითია, ხოლო b ერთეულით მარცხნივ თუ b უარყოფითია“?!

დიდი თონეთის საშუალო სკოლის (მასწ. ქ. სანამიანი) X კლასს საკონტროლო წერისათვის მიეცა იგივე ამოცანები, რომელზედაც ჩატარებული ჰქონდათ საკონტროლო წერა და ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო მიცემული ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნა. ამავე მასწავლებლის ალგებრა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილზე IX კლასში მოსწავლეებმა მეტად დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს, ისინი ვერ ყოფენ ზეპირად 900-ს 4-ზე, ვერ პასუხობენ თუ $x^2=25$, აქედან რას უდრის x და სხვ.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს V კლასის მოსწავლეებმა არითმეტიკაში, რაც ძირითადად იმით აიხსნება, რომ მასწავლებელ ზ. გოგიჩაიშვილს აკლია პედაგოგიური დახელოვნება, არა აქვს საჭირო პედაგოგიური ტაქტი, იგი მეტად ნერვიულობს. რაც უხეშობაში გადაიზრდება ხოლმე. კლასმა სუსტად იცის განვლილი მასალა, მოსწავლეებმა არ იციან მარტივი და შედგენილი რიცხვები, რიცხვთა გამოყოფის და ჯერადის განსაზღვრა, სუსტი

წარმოდგენა აქვთ წილადების შესახებ, არ იციან წილადების ძირითადი თვისებები.

დაბალ დონეზე დგას მათემატიკის სწავლება შეხვეტილის რვაწლიან სკოლაში. მასწავლებელი ა. ჩოხელი ასწავლის მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას და ხაზვას. მასწავლებელი არ მუშაობს თავისთავზე. მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს, არ ადგენს გაკვეთილის გეგმებს. VI კლასის მოსწავლეები ვერ აყალიბებენ ათწილადების გამრავლების წესს, ვერ წყვეტენ ელემენტარულ მაგალითებს პროცენტებზე, წარმოდგენა არა აქვთ აბსოლუტური ცთომილების შესახებ.

VII კლასის მოსწავლეებმა ალგებრაში არ იციან ერთწევრი, მრავალწევრი, მსგავსი წევრები, მოპირდაპირე რიცხვები, რას ეწოდება განტოლება, იგივეობა და სხვ.

VIII კლასის მოსწავლეებმა სუსტად იცოდნენ გაკვეთილის მასალა. მასწავლებელი არ ასწორებს მოსწავლეების მიერ არასწორად გამოთქმულ დებულებებს. მაგ. „მსგავსი ნაკვთების ფართობები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც გვერდების კვადრატები“. ან „კვადრატების ფართობები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც მათი გვერდების შეფარდების კვადრატი“, „მსგავსი ნაკვთები ეწოდება ნაკვთებს, რომლებსაც გვერდები პროპორციული აქვთ და კუთხეები ტოლი“ და სხვ. მოსწავლეებმა არ იციან პროპორციული მონაკვეთები, მონაკვეთების შეფარდება, სამკუთხედების მსგავსების ნიშნები და სხვ.

საკმაო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა საკლასო და საშინაო წერების რვეულების წარმოებას. შეხვეტილის რვაწლიანი და დიდი თონეთის საშუალო სკოლების მასწავლებლები სრულიად არ ასწორებენ მოსწავლეთა საკლასო და საშინაო ნაწერებს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ძალზე დაბალია საკონტროლო წერების ხარისხი.

შეხვეტილის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებში დაშვებულია არსებითი ხასიათის შეცდომები, რომლებიც მასწავლებელ ა. ჩოხელის მიერ გაუსწორებლად არის დატოვებული, ანალოგიური მდგომარეობაა დიდი თონეთის საშუალო სკოლის მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში; უფრო მეტიც, ამ სკოლაში არ აღმოჩნდა VIII კლასის მოსწავლეთა ალგებრის საკონტროლო წერის რვეულები.

სუსტადაა დაყენებული მათემატიკის სწავლება წინწყაროს საშუალო და დუმანისის 8-წლიან სკოლებში. მეთოდურ დახელოვნებას საჭიროებენ მასწავლებლები ს. ხროევი, ი. კიადიკოვი, [illegible]კოვი (წინწყაროს საშ. სკოლა) ხ. ქანიდი, კ. შამაიდი (დუმანისის რვაწლიანი სკოლა). დაბალია აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეთა მომზადების დონე მათემატიკაში. დუმანისის რუსულ რვაწლიან სკოლაში მათემატიკის და სხვა საგნების სწავლების უკიდურესად სუსტად დაყენება გამოწვეულია იმით, რომ სკოლის მოსწავლეთა ძირითად კონტინგენტს შეადგენს ისი ბავშვები, რომლებმაც არ იციან რუსული ენა.

შესწავლილ სკოლებში ფაკულტატური მეცადინეობა მათემატიკაში არ დგას სათანადო სიმაღლეზე, მასწავლებლები ჯერ კიდევ არ არიან მომზადებული მისთვის, განსაკუთრებით ცუდად დგას საქმე შეხვეტილის, ახალსოფლის და დუმანისის რვაწლიან კოდის, დიდი თონეთის, მანგლისის ქართულ საშუალო სკოლებში აღნიშნულ სკოლებში ფაკულტატური მეცადინეობა მათემატიკაში, არ სწარმოებს პროგრამის მიხედვით. უფრო მეტიც, დუმანისის რვაწლიანი სკოლის VIII კლასში მასწავლებელი კანიდი ფაკულტატურ მეცადინეობას მათემატიკაში აწარმოებს არა პროგრამის მიხედვით, არამედ მოსწავლეებს აყვანინებს მაგალითებს VII კლასის კურსიდან (მრავალწევრთა დაშლა თანამამრავლებად). არადამაკმაყოფილებელ დონეზე დგას კლასგარეშე მუშაობა მათემატიკაში დუმანისის, ალგეთის, შეხვეტილის რვაწლიან და დიდი თონეთის, კოდის და ასურეთის საშუალო სკოლებში. დუმანისის, ალგეთის, შეხვეტილის რვაწლიან სკოლებში სრულებით არ სწარმოებს მათემატიკაში საწრეო მუშაობა.

დიდი თონეთის, კოდის და ასურეთის საშუალო სკოლებში შექმნილია ნორჩ მათემატიკოსთა წრეები, მაგრამ ყველაფერი ეს მოკლებულია საწრეო მუშაობის ნამდვილ შინაარსს და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. კოდის საშუალო სკოლაში მხოლოდ IX—X კლასების მოსწავლეებია გაერთიანებული წრეში, ხოლო ასურეთისა და დიდი თონეთის საშუალო სკოლებში ერთ წრეშია გაერთიანებული VI—X კლასების მოსწავლეები, რაც გაუმართლებელია. წრეში იხილება საპროგრამო საკითხები და საწრეო მუშაობა საგაკვეთილო მუშაობის დუბლირებას წარმოადგენს. არ არის გათვალისწინებული გადიდებული სიძნელის ამოცანებსა და მაგალითებზე მუშაობა, მათემატიკის ოლიმპიადების

მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები, პრაქტიკული ხასიათის სამუშაოების ჩატარება (გაზომვები ადგილზე, გეომეტრიული სხეულთა მოდელებისა და გრაფიკების აგება და სხვ.). მათემატიკური საღამოების მოწყობა, წრის ორგანოს გამოშვება.

სკოლებში ფორმალურ ხასიათს ატარებს მეთოდური მუშაობა. ნაცვლად საგნობრივი მეთოდგაერთიანებებისა შექმნილია სასკოლათაშორისო ფიზიკა-მათემატიკის ციკლობრივი მეთოდგაერთიანებები. ამ უკანასკნელის სამუშაო გეგმის შინაარსი არ მოიცავს საჭირო საკითხებს. არაა გათვალისწინებული საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს მასწავლებლის თეორიული დონის ამაღლებას საკუთარ სპეციალობაში.

სათანადო დონეზე აქვს დაყენებული ფიზიკის სწავლება მასწავლებელ ზ. გიგაურს (თეთრიწყაროს ქართული საშუალო სკოლა), ასევე დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები ე. ავეტისოვა (ასურეთის საშუალო სკოლა), ვ. ჩემიჩევა (მანგლისის რუსული საშუალო სკოლა).

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა დიდი თონეთის საშუალო სკოლაში. მასწავლებლები ზ. გოგიჩაიშვილი და ქ. სანამიანი არ მუშაობენ თავის თავზე, არ ეცნობიან ფიზიკის თანამედროვე მიღწევებს, მეთოდურ ლიტერატურას და სრულიად უგულებელყოფენ თვალსაჩინოებათა გამოყენებას სწავლებაში. გავლილი საპროგრამო მასალის მეტად დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს X კლასების (ფ. გოგიჩაიშვილი) მოსწავლეებმა. მასწავლებელმა წინასწარ მომზადების გარეშე უსიცოცხლოდ გადასცა ახალი მასალა „სხეულთა დეფორმაცია“ (IX კლ.) და—„ფარადეის I კანონი“ (X კლ.). მასწავლებელმა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ამის შესაძლებლობა ჰქონდა, არცერთი სახის თვალსაჩინოება არ გამოიყენა. გადაცემული მასალა მოსწავლეთათვის გაუგებარი დარჩა ასევე გაუგებრად გადასცა ახალი მასალა „ამპერმეტრი“ VIII კლასში მასწავლებელმა ქ. სანამიანმა. სკოლას ფიზიკის კაბინეტი არა აქვს. ხელსაწყო-იარაღები, რაც სკოლაში მინიმალური რაოდენობით მოიპოვება, ერთმანეთში არეული უწესრიგოდ ერთ პატარა ოთახშია შეყრილი და არ არის გამოყენებული სწავლებაში. გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება მანგლისის ქართულ საშუალო სკოლაში. მასწავლებელი გ. მეხრაძე მასალას გადის არა პროგრამით, არამედ სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით. მაგ. VII კლასში საშინაო დავალებით ჰქონდათ

„სხეულის მასისა და მოცულობის გამოთვლა სიმკვრივის მიხედვით“, რაც პროგრამით არ არის გათვალისწინებული, დაბალია IX კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე. მათ გაუჭირდათ იმის დადგენა, თუ რა ძალები მოქმედებენ დახრილ სიბრტყეზე მდებარე სხეულზე, ზუსტად ვერ განსაზღვრავენ სხეულის წონის ცნებას.

მე-9² კლასში ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა მასწ. ა. ნარიმანიძის გაკვეთილზე. დაბალია X კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე. ვერ წერენ გამტარის წინააღმდეგობის, ჯოულ-ლენცის კანონების ფორმულებს. ადგილი აქვს პროგრამული მასალის გავლაში ჩამორჩენას.

კოდის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი ღარიბია, ხელსაწყო-იარაღები სულ 3 კარადაშია მოთავსებული, კაბინეტში ერთად-ერთი შტეფსელია დაყენებული, არა აქვთ სადემონსტრაციო მაგიდა, ჩატარებულ ცდას მხოლოდ წინა რიგის მერხებზე მსხდომი მოსწავლეები ხედავენ. VIII კლასში ომის კანონის გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ მასწავლებლის თ. ებიტაშვილის მიერ ეს კანონი არ არის ცდის საფუძველზე დადგენილი. მოსწავლეები ძაბვის აღსანიშნავად ხმარობენ ვოლტმეტრის აღმნიშვნელ სიმბოლოს. მოსწავლეები ამბობენ: წინაღობა პირდაპირ პროპორციულია ძაბვისა და უკუპროპორციულია დენისა, რასაც მასწავლებელი არ ასწორებს.

მე-9 კლასის მოსწავლეებს უჭირთ ძალის მხრის განმარტება, არ იციან თუ რა ძალა მოქმედებს დახრილ სიბრტყეზე მდებარე სხეულზე, უჭირთ წონის განმარტება; ვერ არკვევენ, რომ დრეკად და პლასტიკურ სხეულებს შორის არ არსებობს გაუვალი მიჯნა, გარკვეულ პირობებში პლასტიკური სხეულებიც დრეკადი ხდებიან. მაგ. ტყვიის ძალიან თხელი ფირფიტა დრეკადია. მასწავლებელი პროგრამას არ იცნობს და მიჰყვება სახელმძღვანელოს. X კლასში გამოკითხა ჯოულ-ლენცის კანონი, რომელსაც პროგრამა არ ითვალისწინებს ამ კლასისათვის. შემოწმებულ სკოლებში ნორჩ ფიზიკოსთა წრეები ფორმალურად არსებობენ და ასევე ფორმალურად არსებობენ ფიზიკა-მათემატიკის ციკლობრივი სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებები. საკმაო რაოდენობით არ ტარდება საკონტროლო წერები და არ სწარმოებს მისი გულდასმით გასწორება. რეგულიარულად არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე, არ სწარმოებს პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება.

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქიმიის სწავლება თეთრიწყაროს რუსულ (მასწ. თ. იორბალიდი და ა. კოვალსკაია) და წინწყაროს (მასწ. ა. ალტუნინა) საშუალო სკოლებში. მასწავლებლები სათანადოდ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, მოსწავლეთათვის გასაგებად ხსნიან გაკვეთილს, სწორად იყენებენ კაბინეტში არსებულ თვალსაჩინოებას. ატარებენ პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს. აწარმოებენ ჩათვლით მეცადინეობებს. სისტემატურად ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე და სხვ. მანგლისის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ვ. ბოიკოვა დამწყები მასწავლებელია. იჩენს საქმისადმი სიყვარულს და მონდომებას, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ იგი კარგი პედაგოგი დადგება. წინწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში ქიმიის საათები დაქუცმაცებულია და რამდენიმე მასწავლებელს აქვს განაწილებული. მაგ. ა. ალტუნინას (ორგანიზატორი) 14 საათი, ლ. გასანოვას 6 საათი, ვ. დიმოევს—4 და ს. ხროევს (მათემატიკოსი)—2 საათი.

მასწავლებლები გასანოვა, დიმოვა და ხროევი არ ატარებენ პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს, ჩათვლით მეცადინეობებს, საკონტროლო წერებს და სხვ. გაკვეთილებს ყოველგვარი თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე ატარებენ, მოსწავლეებს მოუფიქრებელ კითხვებს უსვამენ, მოუმზადებლად და გაუაზრებლად ატარებენ ცდებს. მაგ. VII კლასში მასწავლებელმა ს. ხროევმა ჩაატარა ცდა რკინის მიერ სპილენძის ქლორიდის ხსნარიდან სპილენძის გამოძევებაზე,—რკინის ლურსმანზე ვერ მიიღო მოწითალო ფერის ნაფიფქი—მაგრამ მოსწავლეებს მაინც „დააჯერა“ აღნიშნული ნაფიფქის მიღება. მასწავლებელს შეუმუშავებია უჩვეულო მეთოდი გაკვეთილის თემის რამდენიმე მოსწავლის მიერ წიგნიდან ხმამაღლა წაკითხვისა, რის შემდეგაც ახდენს ახალი გაკვეთილის განმტკიცებას კითხვების საშუალებით. მასწავლებლები დიმოვა და გასანოვა მოსწავლეებისაგან არ მოითხოვენ სრულ და ამომწურავ პასუხს. ამიტომ მოსწავლეთა მომზადების დონე ძლიერ დაბალია, უჭირთ ქიმიური ტოლობების შედგენა, უმარტივესი ამოცანების ამოხსნა, ვერ ასახელებენ ატომურ-მოლეკულური მოძღვრების ძირითად დებულებას და სხვ. თეთრიწყაროს ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. ქავთარაძე სუსტად ფლობს საგანს, მისი სწავლების ხერხებსა და მეთოდებს. გულდასმით არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ აწარმოებს ახალი მასალის პარალელურად გავლილი მასალის განმეორებას.

IX კლასში არცერთმა მოსწავლემ არ იცოდა გაკვეთილის „ატომგული ატომის შემადგენელი ნაწილია“, ახალი მასალის „ატომგულის შემადგენლობა“ და „იზოტოპები“ ახსნისას მასწავლებელს არაფერი უთქვამს, რიგი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ საბჭოთა ფიზიკოსების და ქიმიკოსების მიღწევებზე ატომის დაუფლების საქმეში, რას უწოდებენ იზოტოპებს, დალტონის აზრი ატომის შესახებ. მასწავლებელმა არასწორად განმარტა, რომ ქიმიური ელემენტები ერთი და იგივე სახის ატომებია, მაგრამ მათ აქვთ სხვადასხვა მუხტი. მოსწავლეებმა ვერ გაიგეს მასალა. IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან ქლორისა და ბრომის აღმოჩენა, მარილმჟავას ქიმიური თვისებები და თვისობრივი შემადგენლობის დადგენა, ვერ არკვევენ ნივთიერებათა ამფოტერობის საკითხებს და სხვ.

X კლასის მოსწავლეებმა არ იციან ქლორირების რეაქციის ტოლობანი, ბუტადიენის სტრუქტურული და ელექტრონული ფორმულები, ნაჯერი და უჯერი ნახშირწყალბადების მიღების რეაქციების ტოლობები, კათიონების: ამონიუმის, სპილენძის, ტყვიის, ანიონების: ქლორის, ბრომის, გოგირდის, გოგირდმჟავას, გოგირდოვანი მჟავას, ნახშირმჟავას აღმოჩენები ნაერთში და სხვ. ახალი მასალის „არომატული ნახშირწყალბადი, ბენზოლი“ ახსნისას გამოტოვა საკითხები: ტემპერატურის გავლენა მის ფიზიკურ მდგომარეობაზე, აცეტილენის ბენზოლად გარდაქმნისათვის საჭირო პირობები, ნ. დ. ზელინსკის და მ. ა. კაზანსკის დამსახურება ამ საქმეში, აცეტილენის მოლეკულების ციკლური დაჯგუფების ბუნება (ბენზოლის მიღებისას) და სხვ.

დიდი თონეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი თ. ქევანიშვილი არ ახდენს გავლილი მასალების განმეორებას. ამიტომ VIII კლასების მოსწავლეებს არ ახსოვთ პირველ მეოთხედში გავლილი საკითხები: მჟავეების და ფუძეების ქიმიური თვისებები. ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა უმარტივესი სახის ამოცანა. მე-9 კლასში არა აქვს ჩატარებული 2 პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო მე-10 კლასში ჩათვლა საკონტროლო წერით არაორგანული ქიმიიდან.

კოდის საშუალო სკოლის მე-10 კლასის (მასწ. ნ. როსტიაშვილი) მოსწავლეებმა გაკვეთილის „ნავთობი, ნავთობპროდუქტები“ თხრობისას გამოტოვეს საკითხები: ნავთობის წარმოშობა, ადგილმდებარეობა, მოპოვების მიღწეული დონე, ძირითადი მასა,

ნავთობის ფიზიკური თვისებები, არასწორად ჩამოთვალეს სხვადა-
სხვა ნავთობპროდუქტების დუღილის ტემპერატურის ზღვრები,
ოქტანური სკალა, მისი გამოყენება. მასწავლებლის მიერ გამოტო-
ვებული საკითხების შევსება არ მომხდარა გაკვეთილზე.
დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა მომზადების დონე, ისინი ვერ არ-
კვევენ ტუტე ლითონების და არალითონების ჰალოგენების აქტი-
ვობას ატომთა აღნაგობის თეორიის შუქზე. არ იციან ნივთიერე-
ბათა შედგენილობის დადგენა, შესწავლილი მჟავეების ნაშთების
აღმოჩენები, სრულიად არ იციან მეტალთა აქტივობის მწკრივის
გამოყენების საკითხი და ნივთიერებათა ალოტროპია.

IX კლასების მოსწავლეებმა არ იციან პირობები, რომლის
დროსაც რეაქცია მიდის ბოლომდე. ვერ ასახელებენ მეტად აქტიურ
ტუტე ლითონს და არალითონს—ჰალოგენებიდან, შესაბამისად
ვერ არკვევენ რაზეა დამოკიდებული მათი აქტივობა, არ იციან
როგორ მივიღოთ მარილმჟავა და რა ქიმიური თვისებებია მისთვის
დამახასიათებელი, ვერ ასხვავებენ ატომს იონისაგან, ვერ არკვე-
ვენ ამფოტერობის საკითხს, უჭირთ ნივთიერებათა თვისობრივი
შედგენილობის დადგენა მარილმჟავას მაგალითზე.

ასევე არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს
ასურეთის საშუალო სკოლის (მასწ. ო. კაკულია) VIII და IX კლა-
სების მოსწავლეებმა.

ზემოთ ჩამოთვლილ სკოლებში სათანადო ყურადღება არ
ექცევა ქიმიურ კაბინეტში ნივთიერებათა და ხელსაწყოების მო-
ვლისა და შენახვის საქმეს.

ქიმიის კაბინეტებსა და დამხმარე ოთახებში რეაქტივებიანი
კარადები არ იკეტება, დარღვეულია ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი
უთავსებადი რეაქტივების ერთად შენახვის თაობაზე. ანტისანიტა-
რიაა ქიმიის დამხმარე ოთახებში. თვეობით გაურეცხავი დევს მი-
ნის ცეცხლგამძლე ჭურჭლები, ოდესღაც ჩატარებული ცდების
შემდეგ. სუსტად მუშაობენ თეთრიწყაროს, მანგლისის, დიდი თო-
ნეთის, კოდის, ასურეთის საშუალო სკოლების ლაბორანტები
რ. წიკლაური, ა. აფციაური, გ. თაქთაქიშვილი, ქ. კერესელიძე,
ლ. წულუკიძე.

კაბინეტებში არ არის საკმაო რაოდენობით რეაქტივები,
ჭურჭლები და პლაკატები, არ არის გაყვანილი წყალი. არ აქვთ
დადგმული ამწოვი კარადები, სადემონსტრაციო მაგიდა, მოუწე-
სრიგებელია კარადები, მოუგვარებელია დაბნელების საკითხი, რის

შედეგადაც არცერთი კინო-გაკვეთილი არ არის ჩატარებული, არ იყენებენ დიაპოზიტივებს და ფილმოსკოპებს. არ ეწყობა სასწავლო ექსკურსიები, ნაკლებად მზადდება თვითნაკეთი ხელსაწყო-თვალსაჩინო-რალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრეებში სექტემბრის თვეში არ მომხდარა რეფერატების წაკითხვა ან თეორიული კონფერენციების ჩატარება, საზაფხულოდ მიცემული დავალების მოსმენა-განხილვა.

სათანადო სიმაღლეზე დგას ბიოლოგიის სწავლება თეთრიწყაროს რუსულ (მასწ. თ. ლეგოტინა, ქ. კუდუკოვა, ლ. ხაჩატუროვა), მანგლისის რუსულ (მასწ. დ. ელტიშოვა), მანგლისის ქართულ (მასწ. ლ. ჭალიძე) დიდი თონეთის (მასწ. თ. ქემაშვილი) კოდის (მასწ. ე. კლიმიაშვილი) საშუალო სკოლებში. დასახელებული მასწავლებლები ფლობენ საგანს და სწავლების მეთოდებს, პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას, გულდასმით ემზადებიან გაკვეთილებისათვის, მიმდინარე მასალის პარალელურად ახდენენ გავლილი მასალის განმეორებას, რითაც აღწევენ იმას, რომ დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნა ბიოლოგიაში.

მოუთმენელი ნაკლოვანებებით ხასიათდება ბიოლოგიის სწავლება დიდი თონეთის საშუალო სკოლის VII, VIII კლასებში, მასწავლებელი თ. ქავთარაძე რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია. VI კლასში ბოტანიკის გაკვეთილის თემა „როგორ გამოიყვანა ი. ვ. მიჩურინმა მსხლის ჯიში ზამთრის ბერე"— თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე გაუჭირდათ მისი გადმოცემა მოსწავლეებს, ვერ ახსნეს შერეული შეჯვარების მიზანი, რატომ იყენებდა მას ი. ვ. მიჩურინი, ვერ არკვევენ საკითხს რატომ აიღო უსურიის ტყის მსხალი (პანტა) და არა უსურეთის, როგორც მოსწავლეები ამბობდნენ, ყირიმის სამხრეთ ნაწილში მოზარდ ბერე როილთან შესაჯვარებლად, რატომ მან არ შეაჯვარა ადგილობრივი ტყის მსხლის პანტას ბერე როილი. მოსწავლე ამბობს: შეჯვარების შედეგად მიღებული ხუთი თესლი დათესა ი. ვ. მიჩურინმა, ერთმა გაიხარა, ოთხმა არა. ფაქტიურად შეჯვარების შედეგად მიღებული თესლებისაგან, რომელიც მიჩურინმა დათესა, ხუთი მცენარე აღმოცენდა, ამ ხუთი მცენარიდან 4-მა ვერ დააკმაყოფილა მიჩურინი, მეხუთემ კი საუკეთესო მსხალი დაისხა და დასაწყისი მისცა მსხლის შესანიშნავ ახალ ჯიშს. მასწავლებელი არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს.

მოსწავლეებს თხრობისას გამორჩათ საკითხი „ჰიბრიდის ყინვაგამძლეობის აღზრდის დამოკიდებულება ნაყოფიერ [illegible] ნიადაგებზე“, თუ რას წერდა მიჩურინი მსხლის შესანიშნავი ახალი ჯიშის ზამთრის ბერეს მცენარის შესახებ. გამოტოვებული საკითხების შევსებას ვერ ახერხებს მასწავლებელი.

ახალი მასალა: „როგორ გამოიყვანა მიჩურინმა ვაშლი—„ბერგამოტული რენეტი“, თვალსაჩინოების გარეშე ახსნა, ვერ იცავს თანმიმდევრობას, თხრობისას გამორჩა მნიშვნელოვანი საკითხები. მოსწავლეებმა ვერ გაიგეს გაკვეთილის თემა. მიმდინარე მასალის პარალელურად მოსწავლეებს არ ეძლევათ გავლილი მასალა გასამეორებლად. დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება წინწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლის ვ. დიმოევის მუშაობა. იგი არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ ადგენს გაკვეთილის გეგმებს, არ ატარებს (VIII კლ.) პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამუშაოებს, საკონტროლო წერებს და სხვ. კითხვებზე არ მოითხოვს სრულ და ამომწურავ პასუხებს და მოსწავლეთა ცოდნის დონეც საგრძნობლად დაბალია. მოსწავლეებმა არ იციან სისხლის მიმოქცევის მნიშვნელობა, გულის აგებულება, არტერიული და ვენური სისხლის ძარღვები.

თეთრიწყაროს რუსულ, ქართულ, მანგლისის რუსულ, ქართულ, დიდი თონეთის, წინწყაროს, ასურეთის საშუალო სკოლებში სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები მიზნობრივად არ არის გამოყენებული, არ სწარმოებს საცდელი-პრაქტიკული მუშაობა. ვერ ახერხებენ სხვადასხვა ჯიშის მცენარეთა თესლების შეგროვებას შემოდგომაზე და სათანადოდ შენახვას გაზაფხულისათვის. გასულ სასწავლო წელს „ბუნების მეგობრის“ დღეებში დარგული მცენარეები არ არის მოვლილი. სკოლები ღარიბია ოთახისა და ეზოს ყვავილებით. მიწის ნაკვეთი არ არის დაყოფილი განყოფილებებად, ხოლო მოსწავლეები რგოლებად. ნაკვეთზე არ არის მარტივი ტიპის სათბური, არ არის არცერთი ძირი ბოსტნის საზამთრო კულტურები, ყურადღება არ ექცევა მცენარეთა თესლით გამრავლებას, ჩითილებისა და ნერგების გამოყვანას, მყნობისათვის საძირეების გამოზრდას, გადაწვენით და კალმით გამრავლებას.

სკოლებს არა აქვთ მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, ხოლო ზოგიერთ სკოლას აქვს რამოდენიმე ცალი იარაღი, რომელიც არ შეეფერება ბავშვის ძალღონეს, რაც მავნე გავლენას ახდენს ბავშვის ჯანმრთელობაზე და ვერ უზრუნველყოფს სწორი შრომითი ჩვევების გამომუშავებას, შრომის მაღალ ნაყოფიერებას.

მიწის ნაკვეთზე არ არის მოსწავლეთა სამეცადინო მოედანი და მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღების შესანახი ფარდული.

ასევე მოუწესრიგებელია ცოცხალი ზოოლოგიური კუთხეები სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებზე, ზოოლოგის, როგორც მეცნიერების უკეთ სწავლების მიზნით.

ამ სკოლებში თეორიული სწავლება არ არის კავშირში პრაქტიკულად განსახორციელებელ საკითხთან. სკოლები აქცევენ ყურადღებას იმას, რომ ნაკვეთი გახადონ მხოლოდ შემოსავლის წყაროდ, ხოლო სასწავლო-საცდელი სამუშაო თითქოს მეორეხარისხოვანია. აბა რას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ მთელი წლების მანძილზე აღნიშნულ საგანში არცერთი საცდელი სამუშაო არ არის ჩატარებული.

გაუმჯობესებას მოითხოვს წრეობრივი მუშაობა, ნორჩ ნატურალისტთა წრის წევრებს საზაფხულოდ არ ეძლევათ დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის და, რა თქმა უნდა, შესაბამისად არ ხდება ფენოლოგიური დაკვირვების წარმოება, რომლის მოსმენა-განხილვა უნდა ხდებოდეს სექტემბრის თვეში „ნორჩ ნატურალისტთა“ წრის სხდომაზე, არ ატარებენ თეორიულ კონფერენციებს, სრულიად მივიწყებულია მოსწავლეთა მზადება რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებისა და გამოფენისათვის—„ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ (ექსპონატების დამზადების საქმე).

გაუმჯობესებას მოითხოვს გაზეთ „ნორჩი ნატურალისტის“ გამოშვების, კინო-გაკვეთილების, საკონტროლო წერების, პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების და პროგრამული ექსკურსიების ჩატარების საქმე.

კარგადაა დაყენებული ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება ასურეთის საშუალო სკოლაში. მასწ. გ. პაპუაშვილი გულმოდგინედ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის და მაღალ დონეზე ატარებს მას. მოსწავლეებს ისტორიული ფაქტე-

ბისა და მოვლენების მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა გააჩნიათ. X კლასის მოსწავლეებმა შეგნებულად იციან სსრ კავშირის ბრძოლა მშვიდობისა და უშიშროებისათვის დიდი სამამულო ომის და საბჭოთა რესპუბლიკების ძმური ოჯახის გაფართოება, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი, საბჭოთა ხალხის ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, საზოგადოებათმცოდნეობიდან მოსწავლეებმა შეგნებულად განმარტეს მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის კანონები, საწარმოო ძალები, წარმოებითი ურთიერთობანი, წარმოების წესი და სხვა საკითხები.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ კოდის (ვ. არუთინოვი და ს. ლუდუშაური), თეთრიწყაროს ქართული (მასწ. რ. ბეროშვილი), დიდი თონეთის (ნ. მინესაშვილი) საშუალო სკოლების ისტორიის მასწავლებლები.

დაბალ დონეზე დგას ისტორიის სწავლება დიდი თონეთის საშუალო სკოლის VIII და X კლასებში. მასწავლებელი გ. ლონდარიძე (სკოლის დირექტორი) არ ემზადება გაკვეთილებისათვის და დაბალ დონეზე ატარებს მას. VIII კლასის არცერთმა მოსწავლემ არ იცოდა გაკვეთილი „უტოპიური სოციალიზმი". მოსწავლეები გავლილი საპროგრამო მასალის სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ. მათ ვერაფერი თქვეს ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის, ინგლისში სამრეწველო გადატრიალების და აშშ-ის შექმნის, XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის, ლათინურ ამერიკაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის, ლიონის აჯანყების, ჩარტიზმისა და სხვ. საკითხების შესახებ.

არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს მანგლისის საშუალო სკოლის (მასწ. შ. ჩაჩუა) X კლასის მოსწავლეებმა საზოგადოებათმცოდნეობაში. მათ სუსტად იციან მარქსიზმ-ლენინიზმის სამი შემადგენელი ნაწილი, მატერიალისტური დიალექტიკა, ელემენტარული ცნობები ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები და სხვა საკითხები. ასევე არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს VII კლასის მოსწავლეებმა სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში.

IX კლასის ისტორიის მასწავლებელი ე. სულეიმანაშვილი სისტემატურად არ აწარმოებს გავლილი საპროგრამო მასალის განმეორებას, რის გამო მოსწავლეები ვერ ერკვევიან ახალი ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის კურსიდან საფრანგეთ-პრუსიის ომის, პარიზის კომუნის, გერმანიის იმპერიის შექმნისა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში, არ იციან თემები „ინგლისი, საფრანგეთი, სამხრეთი და დასავლეთი სლავები, აშშ, ლათინური ამერიკა, იაპონია XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში".

აზიის გამოღვიძების და სხვა ძირითად საკითხებში ვერ წვდებიან ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების არსში, ვერ არკვევენ მათ მიზეზ-შედეგობრიობას.

არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს შეხვეტილის რვაწლიანი სკოლის (მასწავლებელი მ. წიკლაური) VI კლასის მოსწავლეებმა ისტორიაში.

მეთოდურ დახელოვნებასა და დახმარებას საჭიროებს ასურეთის საშუალო სკოლის ისტორიის დამწყები მასწავლებელი ნ. გოგიაშვილი.

თეთრიწყაროს ქართული, მანგლისის ქართული, დიდი თ.ონეთის, კოდის საშუალო და შეხვეტილის ახალსოფლის რვაწლიან სკოლებთან არ არის მოწყობილი ისტორიის კაბინეტები. არ აქვთ საჭირო სახის ისტორიული რუკები და სხვა დიდაქტიკური მასალები. ამ სკოლებში არ სწარმოებს არავითარი სამხარეთმცოდნეო მუშაობა.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს გეოგრაფიაში თეთრიწყაროს ქართული (მასწ. ც. მენთეშაშვილი), ასურეთის (მასწ. ც. ნაწყაშვილი), შეხვეტილის რვაწლიანი (მასწ. გ. წიკლაური) სკოლების მოსწავლეებმა. შემოწმებულ სკოლებში არ არის მოწყობილი გეოგრაფიის კლასკაბინეტები, სკოლებს არა აქვთ საჭირო რუკები, რის გამო მასწავლებლები გაკვეთილებზე შეუფერებელ რუკებს იყენებენ, სკოლები ღარიბია ატლასებით, სასარგებლო წიაღისეული კოლექციებით, მოდელებით და სხვა საჭირო დიდაქტიკური ხელსაწყო-იარაღებით. აღნიშნულ სკოლებში არ არის მოწყობილი გეოგრაფიის მოედნები და არ სწარმოებს პროგრამით გათვალისწინებული მეტეოროლოგიური დაკვირვება ტემპერატურაზე, ამინდზე და სხვ.

დაბალია აკადემიური წარმატების დონე თეთრიწყაროს რაიონის სკოლებში. 1969—1970 სასწავლო წელს პირველი მეოთხედის ბოლოს რაიონის სკოლებში შეფასებული 7.668 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 1.603 ბავშვი, ე. ი. 21,3%. მათ შორის I—IV კლასებში ვერ ასწრებს—533 და პირველ კლასში კი—92 ბავშვი. უფრო

ცუდი მდგომარეობაა ცალკეულ სკოლებში. მანგლისის ქართული საშუალო სკოლაში (დირექტორი ბ. სულაბერიძე) შემოწმებული 571 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 114 (25%), თეთრიწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. სევასტოვი) ვერ ასწრებს მოსწავლეთა 24,5%, მარტო I კლასში ვერ ასწრებს 17 ბავშვი, მანგლისის რუსულ საშუალო სკოლაში 22%, წინწყაროს საშუალო სკოლაში 19%. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობა: 433 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 166. წინწყაროს საშუალო სკოლაში ვერ აწრებს 25-დან—20, თეთრიწყარიწყაროს რუს. საშ. სკოლაში 28-დან—9, მანგლისის რუსულ საშუალო სკოლაში 16-დან—7 და ა. შ.

შემოწმებული სკოლების და მასწავლებლების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები პირველყოვლისა იმითაა გამოწვეული, რომ სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში საფუძვლიანად არ ეცნობიან სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო-დოკუმენტებს და ქმედით დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ მასწავლებლებს მუშაობაში, არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას და პრინციპულობას. მანგლისის ქართული საშუალო სკოლის დირექტორს ბ. სულაბერიძეს 18 ნოემბრისათვის არცერთი გაკვეთილი არ ჰქონდა მოსმენილი. მან ვერც გასულ სასწავლო წელს მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები გვიჩვენა. დიდი თონეთის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ლონდარიძეს აღმოაჩნდა მხოლოდ 27 გაკვეთილის ანალიზი და ისიც ყველა რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებისა. ანალიზებში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების გაკვეთილები კარგად არის წარმოდგენილი, სინამდვილეში კი სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება მინდობილი აქვთ საგნის უცოდინარ მასწავლებლებს. გამოირკვა, რომ ანალიზები დაწერილია საქმისმწარმოებელ ი. ქავთარაძის მიერ, რომელიც რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია. ასევე მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები ვერ გვიჩვენა ალგეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ა. კარაკეზოვმა.

მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები წინწყაროს საშუალო სკოლის დირექტორს მ. საკალიძეს, მანგლისის ქართული საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში მ. მეხრაძეს, კოდის საშუალო სკოლის დირექ-

ტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ა. მარქაროვს, ასურეთის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ხიდურელს, გაკვეთილების ანალიზები ზერელეა. მასში არა ჩანს გაკვეთილების აკადემიური, იდეური და მეთოდური მხარეები. იგი მხოლოდ გაკვეთილების მსვლელობის აღწერას წარმოადგენს და ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს მასწავლებლებს მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

მანგლისის ქართულ, რუსულ, დიდი თონეთის, თეთრიწყაროს რუსულ, წინწყაროს საშუალო და შეხვეტილის რვაწლიან სკოლებში გაკვეთილების ცხრილი პედაგოგიური თვალსაზრისით არასწორად არის შედგენილი. სასწავლო დღეებში გაკვეთილები თანაბარი სიძნელის მიხედვით არ არის განაწილებული, არის ძნელი და იოლი დღეები, ადგილი აქვს ზოგიერთი საგნის დაწყვილებულად მიცემის შემთხვევებს, სამსაათიანი დისციპლინები უშუალოდაა განაწილებული, ორსაათიანი დისციპლინები ზოგჯერ ერთი დღის, ზოგჯერ კი 4 დღის შუალედით არის მოთავსებული. ერთსაათიანი დისციპლინები ორშაბათს და შაბათს, ისიც მე-6 გაკვეთილებად არის მიცემული, სიძნელით ერთფეროვანი საგნები—ენები ან მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია ცხრილში ერთმანეთზე მიყოლებით არის მოქცეული.

მანგლისის ქართული (დირექტორი ბ. სულაბერიძე), კოდის (დირექტორი შ. გელაშვილი), დიდი თონეთის (დირექტორი გ. ლონდარიძე), ასურეთის (დირექტორი ე. ხიდურელი), წინწყაროს (დირექტორი მ. საკალიძე) საშუალო სკოლების წლიურ გეგმებში არ ჩანს სასწავლო დისციპლინების სწავლების, საპროგრამო მასალების გავლისა და ათვისების ხარისხის, სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების, მოსწავლეთა იდეური, ესთეტიკური აღზრდის საკითხების შემოწმება, მას პედსაბჭოს სხდომებზე ფორმალურად იხილავენ, არ ჩანს მასწავლებლების საქმიანი წინადადებები თუ რა სახის საკითხები წამოაყენეს მათ დამატებით, ამგვარად გეგმა არ წარმოადგენს მასწავლებლების კოლექტიური აზრის ნაყოფს. საერთოდ გეგმაში საკითხები კონკრეტულად არაა მოცემული, არ ჩანს რა უნდა გაკეთდეს, როდის უნდა გაკეთდეს და ვის მიერ უნდა შესრულდეს. ნაცვლად კალენდარული ვადებისა ჩაწერილია— „სისტემატურად“, „მეოთხედის განმავლობაში“ ან „სასწავლო წლის პერიოდში“. უფრო მეტიც, მანგლისისა და დიდი თონეთის საშუალო სკოლების წლიური გეგმა უწიგნურად არის დაწერილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი საკითხი კი პედაგოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელია. მაგ., მანგლისის საშუალო სკოლის გეგმაში სწერია: „V—VII კლასებში მოსწავლეთა დიდი ნაწილი არ მუშაობს და ამიტომაც სწავლაში ჩამორჩება“, „ერთი და იგივე საგნის მასწავლებლების მიერ რვეულების ურთიერთ გასწორება“ და სხვ.

დიდი თონეთის საშუალო სკოლის გეგმაში წერია: „IV—VII კლასების მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ მუშაობს და არც მშობლები აქცევენ მათ სათანადო ყურადღებას, ამიტომაც რიგი მოსწავლეებისა ჩამორჩებიან სწავლაში“.

ზოგადი და ტრაფარეტულია კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმებიც.

შემოწმებულ სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული პედაგოგიური საბჭოების მუშაობა, სხდომებზე იშვიათად იხილება ცალკეული საგნების სწავლების და კლასის ხელმძღვანელების მუშაობის საკითხები. პირველი მეოთხედის შედეგების განხილვისას არ არის გაანალიზებული სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში არსებული მოუთმენელი ნაკლოვანებანი, დაუმსახურებლადაა ნაქები მასწავლებლები, რომელთა მუშაობაში შემოწმებისას სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინდა. პედსაბჭოს სხდომებზე საკითხები ზოგადადაა განხილული. სრულიად უგულებელყოფილია კრიტიკა და თვითკრიტიკა, ღონისძიებები არაა კონკრეტული. მასწავლებლებს, კლასის ხელმძღვანელებს და სკოლის სხვა მუშაკებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად არ აქვთ მიცემული დავალება.

მანგლისის ქართულ საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე VI—VII კლასებში მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენის მიზეზად დასახელებულია პერიფერიის სკოლები, საიდანაც მოუმზადებელი ბავშვები მოდიან, მაშინ, როდესაც VI—VII კლასებში ირიცხება 140 ბავშვი და სხვა სკოლებიდან წელს მიღებულია მხოლოდ 4 ბავშვი, ვერ ასწრებს კი 29 ბავშვი. ასევე იქცევა დიდი თონეთის საშუალო სკოლა. ქმედითი ღონისძიებები არ ტარდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებისათვის: I—VIII კლასებში მოსწავლეთა გეგმის შესრულებას აკლია 103 ბავშვი. მიმდინარე სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ გამოცხადებულა 92 მეორეწლიანი მოსწავლე. განთესილია წინწყაროს საშუალო სკოლიდან 12 ბავშვი, მანგლისის რუსული საშუალო სკოლიდან—7, თეთრიწყაროს რუსული საშუა-

ლო სკოლიდან—5, მანგლისის ქართული საშუალო სკოლიდან—3, დიდი თონეთის საშუალო სკოლიდან—3 ბავშვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშაობა მანგლისის ქართულ, თეთრიწყაროს ქართულ საშუალო სკოლების საskolo ინტერნატებში. არაა მოწესრიგებული კვების საკითხი, უვარგისია რბილი და მაგარი ინვენტარი. მანგლისის ქართულ საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატში (გამგე ს. ქავთარაძე) თავისდროზე არ ხდება თეთრეულის გარეცხვა, არ აქვთ დანა-ჩანგლები, კოვზები, პირადი ჰიგიენის საგნები—ჯაგრისები, კბილისფხვნილი და სხვა. აქ აღმზრდელები სპეციალობების მიხედვით არასწორად არიან შერჩეული. ხუთივე აღმზრდელი ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია, სასკოლო ინტერნატში აღსაზრდელთათვის არ ეწყობა კონსულტაციები.

 შ. ლომიძე (ხელმძღვანელი), ქ. გაჯილაროვი, ჯ. დადიანი, ლ. ბასილაძე, თ. ჩიტაძე, ნ. ბენდიაშვილი, გ. გიორგობიანი, გ. ჯავახაძე, თ. ხურცილავა, ა. ხოშტარია, შ. კაპანაძე, მ. ოთარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 3 დეკემბრის ბრძანება № 676

რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებას „რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ“

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ წარდგენილი მასალები საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ამ კანონის შესასრულებლად რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა.

საგრძნობლად განმტკიცდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა; უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სასკოლო შენობები, 60.486 მოსწავლის ადგილით.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი მუშაობაა გაწეულია აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქალაქებში—თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ჭიათურაში, ბათუმში, ფოთში, ქობულეთის, ზუგდიდის, მახარაძის, გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ზესტაფონის, თერჯოლის, ჩოხატაურის, გორის, ქარელის, ონის, ცხაკაიას, გალისა და წყალტუბოს რაიონებში.

სკოლებში დაინერგა სწავლების ახალი მეთოდები, მკვეთრად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მოსწავლეთა ცოდნა უფრო მტკიცე, მკვიდრი და საფუძვლიანი გახდა. საგრძნობლად ამაღლდა მასწავლებელთა და სკოლების ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია.

გარკვეული მუშაობაა ჩატარებული სკოლა-ინტერნატებში, რესპუბლიკის 66 სკოლა-ინტერნატში სწავლობს 21.669 ბავშვი.

იზრდება იმ ახალგაზრდა მუშებისა და კოლმეურნეების რიცხვი, რომლებიც სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად. 1968—1969 სასწავლო წელს ამ ტიპის სკოლებში ირიცხებოდა 51.017 მოსწავლე.

წარმატებით სრულდება საყოველთაო განათლების სახელმწიფო გეგმები თბილისში, გორში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, აგრეთვე გორის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ქარელის, კასპის, ყვარლის, მახარაძის, მცხეთის, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ხაშურის, ხონის, ცაგერისა და წყალტუბოს რაიონებში.

ამასთან ერთად, აღნიშნული კანონის განხორციელებაში არის სერიოზული ხარვეზები, მთლიანად რესპუბლიკაში მიმდინარე სასწავლო წელს არ შესრულებულა სკოლებში მოსწავლეთა ჩაბმის გეგმა.

1969—1970 სასწავლო წელს I—VIII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის სახელმწიფო გეგმა რესპუბლიკაში შესრულდა 99,86 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში—98,69-ით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—98,47-ით, ქ. ფოთში—97,57-ით, ქ. ტყიბულში 97,83-ით, ახალქალაქის რაიონში—98,66-ით, ახალციხის რაიონში—97,5-ით, ბოგდანოვკის რაიონში—98,0-ით, ყაზბეგის რაიონში—[illegible],9-ით, მარნეულის რაიონში—98,23 პროცენტით, მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა არ არის შესრულებული აგრეთვე გურჯაანის, დუშეთის, ლაგოდეხის, ონის, თელავის, თეთრიწყაროს, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, ცხაკაიას რაიონებში.

ჯერ კიდევ დიდია სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა.

რვაწლიანი სკოლის სრულ კურსს პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 79 პროცენტი ამთავრებს. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ყაზბეგის რაიონში, სადაც 8 კლასი დაამთავრა პირველ კლასში მიღებულთა 50,8 პროცენტმა, მარნეულის რაიონში—59,6-მა, საგარეჯოს რაიონში—57,9, მესტიის რაიონში—65-მა, ახმეტის რაიონში—66,6-მა, დმანისის რაიონში—66,2-მა, ბოლნისის რაიონში—67,8-მა, გარდაბნის რაიონში—67,7-მა, ლაგოდეხის რაიონში—68,8-მა, ლენტეხის რაიონში—66,4-მა პროცენტმა.

საჭირო რაოდენობის სასკოლო შენობათა უქონლობის გამო ბევრ სკოლაში მეცადინეობა ორ ცვლად, ხოლო ზოგჯერ სამ ცვლად წარმოებს.

ამავე დროს ზოგიერთი სამრეწველო საწარმო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სხვა ორგანიზაცია, არსებულ შესაძლებლობათა მიუხედავად, არ ეწევა სასკოლო მშენებლობას.

ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი აუცილებელი დგამ-ავეჯით, ხოლო ახალი ავეჯის დამზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. დაბალია დამზადებული ავეჯის ხარისხი.

საკმარისი არ არის სასკოლო სახელმძღვანელოების ტირაჟი.

ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, დუშეთის, მესტიის, ლენტეხის, ახმეტისა და ზოგიერთი სხვა მთიანი რაიონის სკოლებში ცალკეული საგნების პედაგოგთა ნაკლებობაა, ამავე დროს საჭიროა მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა პროფესიული მომზადების დონის და კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და განათლების ორგანოები ნაკლებად ზრუნავენ სასკოლო ინტერნატების კეთილმოწყობისათვის, საკმაო ყურადღება არ ექცევა გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და სკოლების გახსნას. რიგ რაიონში არ არის ორგანიზებული შორეულ სოფლებში მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტით მიყვანა სკოლამდე და უკან საცხოვრებელ ადგილამდე, რაც გათვალისწინებულია ზემდგომი ორგანოების დადგენილებით. ზოგიერთ სკოლაში არ იყენებენ საყოველთაო-სავალდე-

ბული სწავლების ფონდს ხელმოკლე მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების გასაწევად.

მცირე რაოდენობითაა სპეციალური სკოლა-ინტერნატები ფიზიკური და გონებრივი დეფექტის მქონე ბავშვებისათვის.

რესპუბლიკის რიგ სკოლაში ჯერ კიდევ დაბალია სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა აკადემიური წარმატება; დიდია მეორეწლიანობა.

1968—1969 სასწავლო წლის ბოლოს საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შემდეგ იმავე კლასში დატოვებულია I—VIII კლასების 38,967 მოსწავლე, ანუ არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 5,01 პროცენტი. სასწავლო წლის დამდეგისათვის მეორეწლიან მოსწავლეთა ამ რაოდენობიდან 4.007 ბავშვი აღარ დაუბრუნდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ყაზბეგის, ბოლნისის, ახალციხის, ახალქალაქის, კასპის, თიანეთის, დუშეთისა და ზოგიერთ სხვა რაიონებში ნაკლოვანებებია სოფლის მასწავლებელთა კომუნალური მომსახურების საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომი, მუდმივი კომისიები, დეპუტატები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეს. სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა არ წარმოებს დაწესებული ინსტრუქციის შესაბამისად სესიებზე, აღმასკომის და კომისიის სხდომებზე ნაკლებად იხილავენ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების საკითხებს და საჭირო ზომებს არ ღებულობენ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლაში უკლებლივ ჩასაბმელად.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ანიჭებს რა უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებას და მომავალი 1970 წლიდან საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო განათლების თანმიმდევრულად შემოღებას, ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, განათლების ორგანოებთან ერთად:

ა) უზრუნველყონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განუხრელად განხორციელება; გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩასაბმელად და მოსწავლეთა კონტინგენტის მთლიანად შენარჩუნებლად;

ბ) დასახონ და ჩაატარონ საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები უახლოეს დროში საყოველთაო საშუალო განათლების განსახორციელებლად;

გ) მიიღონ ზომები სკოლა-ინტერნატებსა და სასკოლო-ინტერნატებში ბავშვთა ცხოვრებისა და სწავლის ნორმალური პირობების შესაქმნელად, სასკოლო დაწესებულებების საჭირო რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარით, კვების პროდუქტებით უზრუნველსაყოფად; ფართოდ გაშალონ მუშაობა, რათა საკუთარი სახსრებით სკოლებისა და სასკოლო-ინტერნატების შენებლობაში უფრო მეტად ჩაებან წარმოება-დაწესებულებები და კოლმეურნეობები;

დ) საბჭოების მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების აქტიური მონაწილეობით მტკიცედ დაიხმონ ფართო საზოგადოებრიობა საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებისა და საყოველთაო საშუალო სწავლებაზე გადასასვლელად საჭირო პირობების შესაქმნელად; სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი მოქმედებით უზრუნველყონ ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ;

ა) არსებითად გააუმჯობესოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლებში, უზრუნველყოს სკოლები და სკოლა-ინტერნატები კაბინეტ-ლაბორატორიებით და სახელოსნოებით, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით და სხვა აუცილებელი თვალსაჩინო მასალებით;

ბ) გააძლიეროს მუშაობა მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის, პროფესიული კვალიფიკაციის და პედაგოგიური დაოსტატების განუხრელად ამაღლებისათვის; ფართოდ დანერგოს იმ მოწინავე სკოლების, კლასის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების გამოცდილება, რომლებმაც მიაღწიეს თვალსაჩინო შედეგებს მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და მეორეწლიაობის აღმოფხვრის საქმეში;

გ) შეისწავლოს და კოლეგიის სხდომებზე მოისმინოს იმ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა ანგარიშები, რომლებსაც შესრულებული არა აქვთ მოსწავლეთა კო[illegible] სახელმწიფო გეგმა და დასახოს ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

3. საქართველოს სსრ მშენებლობის და განათლების სამინისტროებმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები სკოლების, სასკოლო ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ასაშენებლად გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მთლიანად და დროულად ათვისებისათვის, სისტემატური კონტროლი დააწესონ თითოეული ობიექტის მშენებლობაზე, გადაჭრით გააუმჯობესონ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი და უზრუნველყონ ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა დადგენილ ვადებში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს:

ა) სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცების საკითხი იმ ვარაუდით, რომ უახლოეს წლებში მკვეთრად შემცირდეს ცვლიანი მეცადინეობა;

ბ) „სოფლის მცხოვრები მოსწავლეების უფასოდ მგზავრობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 აგვისტოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**“

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებისა და რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებმა ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან

შეთანხმებით სათანადო მუშაობა ჩაატარონ იმ მიმართულებით, რათა აღნიშნული დადგენილების შესრულების საქმეში აქტიურად იქნეს ჩაბმული მშრომელთა ფართო საზოგადოებრიობა.

2. მათვე მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა ყველა სკოლამ გულდასმით შეისწავლოს მის სამოქმედო უბანში საყოველთაო განათლების გატარების დარგში არსებული მდგომარეობა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების მთლიანად გამოსწორების მიზნით.

3. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა სკოლებში ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის საფუძველზე უზრუნველყონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში უკლებლივ ჩაბმის გეგმის შესრულება და დააწესონ სისტემატური ზედამხედველობა და კონტროლი ამ საქმეზე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საგეგმო-საფინანსო სამმართველოებს თავიანთ სამუშაო გეგმებში მთელი წლის განმავლობაში დაუთმონ ადგილი საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების მიმდინარეობის შემოწმებას და სკოლებისა და განათლების ორგანოებისათვის ამ საქმეში ადგილებზევე საქმიანი დახმარების გაწევას.

5. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა ფართო ადგილი დაუთმონ საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების დარგში არსებული მდგომარეობის გაშუქებას.

6. 1969—1970 სასწავლო წლის განმავლობაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე საგანგებოდ იქნეს მოსმენილი ასსრ განათლების მინისტრების, ოლქისა და ქალაქების, რაიონების, განათლების განყოფილებათა გამგეების ინფორმაციები საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების შესახებ ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქსა, რაიონებსა და ქალაქებში.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ვ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი

ასსრ განათლების მინისტრების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ინფორმაციების განრიგი საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების შესახებ ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქში, რაიონებსა და ქალაქებში

**1969 წლის დეკემბერი**

ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, თეთრიწყაროს და წალკის რაიონები

**1970 წლის იანვარი**

აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ქ. ფოთი, ქ. ტყიბული

**1970 წლის თებერვალი**

ყაზბეგის, მარნეულის, გურჯაანის, დუშეთის, ლაგოდეხის, ონის, თელავის, წალენჯიხის, წითელწყაროს და ცხაკაიას რაიონები.

სკოლების სამმართველოს უფროსი **ა. ჩხიკვაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 12 სექტემბრის ბრძანება № 512

### საქართველოს სსრ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შესახებ

სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში თვალსაჩინოდ გაფართოვდა საქართველოს სსრ სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი. თუ 1960 წლის დამდეგისათვის ყველა სამინისტროსა და უწყებას, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებს, რესპუბლიკაში ჰქონდათ ბავშვთა 1.032 სკოლამდელი დაწესებულება 55.2 ათასი ბავშვის საერთო კონტინგენტით, 1968 წლის დამლევს ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების რიცხვი გადიდდა 1.630-მდე, ხოლო კონტინგენტი შეადგენდა 131.7 ათას ბავშვს. ამრიგად, 1969 წლის დამდეგისათვის ეს დაწესებულებანი მომსახურებას უწევენ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საერთო რაოდენობის 20,5 პროცენტს, მაშინ, როდესაც 1960 წელს ეს მაჩვენებელი არ აღემატებოდა 8.2 პროცენტს, 1970 წელს ნავარაუდევია უზრუნველვყოთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სკოლამდელ ბავშვთა 23 პროცენტი ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებით.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკაში დაფინანსების ცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა საბავშვო ბაღები, ბაგა-ბაღები და ბაგები 13,8 ათასი ადგილით. 1969 წლის გეგმა ითვალისწინებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 5.1 ათას ადგილიანი სკოლამდელი დაწესებულებების გადაცემას საექსპლოატაციოდ.

ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზა ფართოვდება სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დაფინანსების ცენტრალიზებული წყაროების ხარჯზედაც.

ბიბლიოთეკა

სკოლამდელ დაწესებულებებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მეთოდური და აღმზრდელობითი მუშაობა. აღდგენილია სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი, რაიონებსა და ქალაქებში შექმნილია სკოლამდელი აღზრდის კაბინეტები, სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებებში შემოღებულია სათანადო მეთოდისტის თანამდებობა. ხელახლა გამოიცა „აღზრდის პროგრამა საბავშვო ბაღისათვის" ყოველკვარტალურად გამოდის ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" დამატება „დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა".

სანიტარული პროფილაქტიკის გაძლიერებისა და ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებმა საშუალება მოგვცა მკვეთრად შეგვემცირებინა ბავშვთა დაავადება. უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში იგი ერთიორად შემცირდა.

გაუმჯობესდა ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა კვალიფიკაცია. პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი დიდ დახმარებას უწევენ სკოლამდელ დაწესებულებებს, განაზოგადებენ მუშაობის მოწინავე მეთოდებს და ამაღლებენ პედაგოგთა კვალიფიკაციას, სერიოზული ყურადღება ექცევა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკურ, ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდას. რადიო და ტელევიზია ყოველდღე გადასცემენ ბავშვთათვის დილის ვარჯიშის კომპლექსს. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ეწყობა რესპუბლიკური დათვალიერებანი და ა. შ.

მიუხედავად ამისა, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობას ჯერ კიდევ გარკვეული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

თუმცა ბავშვთა კონტინგენტის გეგმა 1968 წელს რესპუბლიკაში შესრულდა სულ 96.1 პროცენტით, მათ შორის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით—93.9 პროცენტით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხაზით—99.7 პროცენტით, ბავშვთა ცალკეული სკოლამდელი დაწესებულე-

ბანი, განსაკუთრებით თბილისში, ქუთაისში და რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებში გადატვირთულია. ეს ხელს უშლის ჰიგიენური რეჟიმის ზუსტად დაცვას, პროფილაქტიკურ, გამაჯანსაღებელ და აღმზრდელობით ღონისძიებათა განხორციელებას, რესპუბლიკის ბაგებში, ბაგა-ბაღებსა და საბავშვო ბაღებში ჯერ კიდევ აკლიათ რბილი და მაგარი ინვენტარი.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ 1969 წელს შეასრულა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთი თვის გეგმა 41 პროცენტით, ხოლო საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ—42 პროცენტით.

ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი ბავშვთა კვება. ზოგიერთი რაიონის ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებები არ მარაგდებიან საკმაო რაოდენობის ახალი ხორცით, თევზით, ბოსტნეულით, ხილითა და სხვა პროდუქტებით.

ამ დაწესებულებათა შენობების მნიშვნელოვანი რაოდენობა ავარიულ მდგომარეობაშია. 107 საბავშვო დაწესებულება მოთავსებულია დაქირავებულ შენობებში, ხოლო 314 დაწესებულება—მოუწყობელ შენობებში.

ცუდად სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება რესპუბლიკის ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მდგომარეობისა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სადგომების გამოყოფას ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის მშენებარე საცხოვრებელი შენობების პირველ სართულებში.

ერთადერთი პედაგოგიური სასწავლებელი, რომელიც სპეციალისტებს ამზადებს ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, ვერ აკმაყოფილებს ამ დაწესებულებათა გაზრდილ მოთხოვნილებას კადრებზე, ხოლო პედაგოგიური ინსტიტუტები არ ეწევიან სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კონტინგენტის აღმზრდელთა მომზადებას.

ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ წინადადება მისცა:

საქართველოს სსრ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებას, რისთვისაც ააშენონ სპეციალური სადგომები და გამოიყენონ ამ მიზნისათვის მშენებარე საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები.

მიიღონ ზომები მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების დროზე გადაცემისათვის საექსპლუატაციოდ, აგრეთვე იმ რემონტის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რომელიც მოქმედ ობიექტებზე წარმოებს;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ გაძლიერდეს საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შეფობა ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისადმი.

—საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს წლიური და პერსპექტიული სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებით სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარება იმ ანგარიშით, რომ 1975 წლისათვის ძირითადად დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება ამ დაწესებულებებზე.

—საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ყურადღება მიექცა იმას, რომ მათ არადამაკმაყოფილებლად შეასრულეს 1969 წელს ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთი თვის გეგმა და დაევალა ამ სამინისტროების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ გეგმის უცილობრივ შესრულება ამ ობიექტებზე.

—საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს დაევალა მიმდინარე წლის დამლევამდე დაამთავროს თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის მშენებლობა და უზრუნველყოს ამ ფაბრიკის მიერ სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის საჭირო მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება.

—საქართველოს სსრ განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა დროზე უნდა წარუდგინონ ცალკეული ყოველწლიური განაცხადები ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის საჭირო ავეჯსა და სასწავლო სახელმძღვანელოებზე სათანადო დასაბუთებით, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ კი მაქსიმალურად უნდა დააკმაყოფილონ ეს განაცხადები, ამასთან უნდა გაითვალისწინონ აღნიშნული მატერიალური რესურსების გამოყოფა ცალკე სტრიქონად.

—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა გააძლიეროს ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში სანიტარულ-პროფილაქტიკური, გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი და უზრუნველყოს ყველა ეს დაწესებულება, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სამედიცინო პერსონალით, არსებული ნორმატივების შესაბამისად.

—საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობამ უნდა მიიღონ ზომები, რათა შეუფერხებლივ იქნან მომარაგებული ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებანი საჭირო რაოდენობის მაღალხარისხოვანი პროდუქტებით, ხილითა და ბოსტნეულით.

—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს:

1970 წლის 1 სექტემბრამდე მოამზადოს თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის სასწავლო კორპუსის მშენებლობის საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია და გაითვალისწინოს 1971 წლის გეგმის პროექტით მისი მშენებლობა სახელმწიფო-კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე დარგით „განათლება“.

—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად შეისწავლოს ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის პედაგოგიურ ინსტიტუტებში კადრების მომზადების საკითხი და ორი თვის ვადაში წარუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა ყოველწლიურად უნდა გაითვალისწინოს

ლიტერატურის გამოცემა სკოლამდელი აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის კოორდინირების გაუმჯობესების მიზნით დაავალა ყველა იმ სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რომლებსაც თავიანთ გამგებლობაში აქვთ აღნიშნული დაწესებულებანი, ყოველი წლის დამლევს წარუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცნობები გაწეული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური უზრუნველყოფისა და მათი მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთლიანად რესპუბლიკაში ამ დაწესებულებათა მუშაობის შესახებ.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა და სსრკ განათლების სამინისტროს 1969 წლის 30 მაისის კოლეგიის გადაწყვეტილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მტკიცე კონტროლი და ხელმძღვანელობა დააწესონ სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობაზე, სისტემატურად შეამოწმონ მათი მუშაობა, პერიოდულად განიხილონ შემოწმების შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დაწესებულებათა მუშაობის რადიკალურად გარდაქმნისათვის;

ბ) არსებითად გააუმჯობესონ მეთოდური დახმარება, როგორც განათლების სისტემის, ასევე უწყებრივი დაქვემდებარების სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკებისადმი. მათი რაიონის ტერიტორიაზე არსებული სხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებებამდე დაიყვანონ განათლების სამინისტროს მითითებები, ინსტრუქციები, მეთოდური ლიტერატურა და სხვ.;

გ) სხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებებში არ დაუშვან სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და პედაგოგიური პერსონალის დანიშვნა განათლების ორგანოების თანხმობის გარეშე;

დ) სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით თითოეულ საბავშვო ბაღზე მიამაგრონ საშეფო ორგანიზაციები;

ე) პერიოდულად შეამოწმონ სკოლამდელ დაწესებულებებში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დათვალიერების მიმდინარეობა და შედეგები სისტემატურად განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლამდელ დაწესებულებათა ბავშვებით სწორად დაკომპლექტებას, ბავშვთა დღეებისა და სახალხო მეურნეობის გეგმის განუხრელად შესრულებას;

ზ) მიიღონ სათანადო ზომა სკოლამდელ დაწესებულებათა საჭირო პროდუქტებით უზრუნველსაყოფად; ამ მიზნით სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა დეკადურად წარუდგინონ განაცხადი სათანადო პროდუქტების გამოყოფის შესახებ ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებს. შეფერხების შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ აცნობონ განათლების, ვაჭრობის სამინისტროებსა და ცეკავშირს;

თ) მტკიცე კონტროლი დააწესონ სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის დროულად შესრულებაზე იმ ვარაუდით, რომ იგი ექსპლოატაციაში დროულად იქნეს შესული;

ი) სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის კოორდინირების გაუმჯობესების მიზნით, თავიანთი რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე არსებული ყველა უწყების სკოლამდელ დაწესებულებათა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, მათი მატერიალური უზრუნველყოფის და მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, ყოველი წლის 1 ნოემბრისათვის წარმოუდგინონ მოხსენებითი ბარათები განათლების სამინისტროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის მოსახსენებლად;

კ) აღნიშნული ბრძანება ერთი თვის ვადაში განიხილონ ყველა უწყების სკოლამდელ მუშაკთა სარაიონო (საქალაქო) შეკრებაზე, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და ამ მიმართებით ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებითი ბარათი წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს მ/წლის 1 ნოემბრამდე.

2. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფურცხაძე) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. [illegible]ხაშვილი) სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურ მეთოდკაბინეტთან ერთად (ამხ. ნ. კაკაურიძე) დაწყებითი კლასების სამწლიან სწავლებაზე გადასვლასა და მოსამზადებელი კლასების შემოღებასთან დაკავშირებით დაამუშაოს „საბავშვო ბაღის აღზრდის" პროგრამა და წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს განსახილველად.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. მ. ანჯაფარიძე) დააწესოს სისტემატური კონტროლი სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობაზე, შეამოწმოს ადგილზე მშენებლობის მიმდინარეობა და მიიღოს ყველა ზომა შენობების ექსპლოატაციაში დროულად შესასვლელად.

მშენებლობის შეფერხების ცალკეული შემთხვევების შესახებ მომახსენოს პერიოდულად.

4. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) მიიღოს ყველა ზომა, რათა სკოლამდელი დაწესებულებები უზრუნველყოფილი იქნან ავეჯით, ინვენტარით, თვალსაჩინო-სასწავლო ნივთებითა და სათამაშოებით. ამ მიზნით ყოველწლიურად განაცხადში ცალკე სტრიქონად გამოყოს სკოლამდელი დაწესებულებების მოთხოვნილება ინვენტარზე და წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ მთავარმომარაგებას.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახალმწიფო კომიტეტს დააჩქაროს წიგნის „საბავშვო ბაღის მუშაობის ზოგიერთი საკითხი"-ს გამოცემა.

6. გაზეთ „სახალხო განათლებამ" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, გ. საჯაია) სისტემატურად გააშუქონ საკითხები სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე და განაზოგადონ მოწინავე მუშაკთა გამოცდილება.

7. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები პედაგოგიურ ინსტიტუტებში „სკოლამდელი ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის" ფაკულტეტის გახსნის აუცილებლობის შესახებ.

მასვე დაევალოს ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 12 სექტემბრის დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უ. ოზოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 13 ოქტომბრის ბრძანება № 574

### ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ ბავშვთა ტექნიკური შემოქმედებითი მუშაობა წარმოადგენს კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვან ნაწილს. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ტექნიკით დაინტერესების, ნიჭისა და უნარის გამოვლინებისათვის, მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნის გაფართოებისათვის, მათი პროფესიული ორიენტაციისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები—ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები და სახლები, სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობით, კომკავშირისა და პროფკავშირის აქტიური დახმარებით ატარებენ გარკვეულ მუშაობას ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების განვითარებისათვის. მარტო გასულ სასწავლო წელს მოსწავლეთა ძალებით რესპუბლიკური კონკურსისათვის დამზადებულია 30.000 თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღი და მოქმედი მოდელი. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა პავილიონში 1968 წელს ექსპონირებული იყო სკოლისგარეშე დაწესებულებებში დამზადებული 40 ექსპონატი, ხოლო 1969 წელს—26 ექსპონატი. აღსანიშნავია, რომ ნორჩი ტექნიკოსების შემოქმედებას აქვს მეტწილად საზოგადოებრივ-სასარგებლო მიმართულება, რადგან მათ მიერ წრეებში დამზადებული ხელსაწყოები და მოქმედი მოდელები ძირითადად დიდ გამოყენებას პოულობს სკოლის კაბინეტების შევსების საქმეში. ქ. მოსკოვში გამოფენისათვის გაგზავნილი ექსპონატებიდან 4 ხელსაწყო ორიგინალურია, მათ შორის უნდა აღინიშნოს „მდივანი-ავტომატი“ და უნივერსალური საზომი ხელსაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყო, დამზადებული ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში, ადამიანის გულის მოქმედი აპარატი, დამზადებული ქ. თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურში, გამომცდელ-რეპეტიტორი, დამზადებული ქ. გორის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურში და მრავალი სხვა.

ამასთან ერთად აღვნიშნავ, რომ მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელების საქმე სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად ორგანიზებული, ტექნიკურ შემოქმედებაში ნაკლებად არიან ჩაბმული გოგონები. ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილება, სკოლა და თვით ფიზიკა-მათემატიკური და საბუნებისმეტყველო დისციპლინების მასწავლებლები სათანადოდ ვერ აფასებენ მოსწავლეებში ტექნიკური ცოდნის დანერგვის აუცილებლობისა და ტექნიკით მათი დაინტერესების საქმეს.

სკოლებში ტექნიკური წრეებისათვის არ არის გამოყოფილი სამუშაო ოთახები. არასაკმაო ყურადღება ექცევა ნორჩ ტექნიკოსთა შორის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გავრცელებას და მათი პოლიტექნიკური ცოდნის ჰორიზონტის გაფართოებას. ბევრ სკოლასა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში წრეების მუშაობა არ ატარებს შემოქმედებით ხასიათს, არა აქვს საზოგადოებრივ-სასარგებლო მიზანდასახულობა; წრეების უმეტესი ნაწილი არ არის დაკავშირებული სამეცნიერო დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობასთან. სუსტადაა ორგანიზებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ ვერ უზრუნველყო ზემდგომი ორგანოების დადგენილების რეალიზაცია, დღემდე არცერთ წარმოებასთან არ გააფორმა ხელშეკრულება ნორჩ ტექნიკოსთა საჭიროებისათვის ნახევარფაბრიკატებისა და ცენტრალიზებული წესით მასალების მიწოდების შესახებ.

სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს არა აქვთ მჭიდრო კავშირი ადგილებზე სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებთან.

ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებსა და სკოლების ტექნიკურ წრეებს საკმაო რაოდენობით არა აქვთ თვითნაკეთობათა აღწერილობები, სქემები, ტექნიკური პლაკატები; წრეების ხელმძღვანელ-

თა უმეტესობას თეორიული მეცადინეობის ჩასატარებლად და პრაქტიკული მუშაობისათვის არ გააჩნია ცოდნა-ჩვევები. სკოლებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში ჯერ კიდევ სუსტადაა არის დაყენებული პიონერ-მოსწავლეთა შორის ტექნიკური პროპაგანდა; იშვიათად ტარდება ლექცია-საუბრები მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებზე, სასწავლო-ტექნიკური კინოფილმების დემონსტრირება, არ არის შექმნილი სასკოლო ბიბლიოთეკებში ტექნიკური წიგნების განყოფილებები, ხოლო სახელოსნოებში „ინსტრუმენტოტეკა". დღემდე ზოგიერთი სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულება მოთავსებულია შეუფერებელ ბინებში, ცუდადაა დაყენებული საშეფო მუშაობა—ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებსა და სკოლის ტექნიკურ წრეებს არა ჰყავთ შეფად ორგანიზაცია-წარმოებები, რომლებიც შესაძლო დახმარებას გაუწევენ მათ ტექნიკის პროპაგანდის საქმეში.

პიონერ-მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ს/ოსეთის ა/ოლქის რაიონების, (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ყურადღება მიაქციონ პიონერ-მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელების საქმეს. სკოლების და სკოლისგარეშე დაწესებულებების შემოწმებისას სპეციალურად შეისწავლონ ტექნიკური წრეების მუშაობა და დასახონ ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლებში ტექნიკური წრეებისათვის სამუშაო ადგილების გამოსაყოფად და უზრუნველყონ ისინი მუშაობისათვის აუცილებელი მასალებით, ხელსაწყოებით, ინვენტარითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით, იზრუნონ სკოლისგარეშე დაწესებულებების ბინით უზრუნველყოფისათვის;

გ) მეტი ყურადღება მიაქციონ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისა და პიონერთა სახლების მუშაობას, აღმოუჩინონ მათ ქმედითი დახმარება სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის სწორად ორგანიზე-

ბის, მოწინავე და წამყვან წარმოებებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების საქმეში;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ) ორი თვის ვადაში გადასინჯონ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისა და პიონერთა სახლების ტექნიკური წრეების ხელმძღვანელთა პირადი შემადგენლობა და სუსტი მუშაკები შეცვალონ კვალიფიციური მასწავლებლებითა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით;

ე) ყველა სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებასთან ჩამოაყალიბონ ტექნიკური წიგნების ბიბლიოთეკა, ხოლო იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არის—„ინსტრუმენტოტეკაც".

2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. გ. ეპიტაშვილი):

ა) გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა რესპუბლიკური მნიშვნელობის მასობრივ ღონისძიებებზე;

ბ) ახალი სასწავლო წლიდან სადგურთან ჩამოაყალიბოს ნორჩ ქიმიკოსთა და ნორჩ რადიომოყვარულთა დაუსწრებელი კლუბი;

გ) მიავლინოს სადგურის მუშაკები და სპეციალისტები ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურებზე ქმედითი დახმარების გასაწევად;

დ) ყოველწლიურად, სასწავლო წლის შუა რიცხვებში მოაწყოს ტექნიკური წრეების ხელმძღვანელთა 12-დღიანი სემინარპრაქტიკუმები;

ე) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად მოაწყოს სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა მუშაკების გადასამზადებელი ერთთვიანი კურსები;

ვ) საკუთარი ძალებით დაამუშაოს და მასობრივი ტირაჟით გამოსცეს ტექნიკური წრეების პროგრამები, ნახაზები, აღწერილობები და უზრუნველყოს მათი დაყვანა რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებამდე.

3. ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო და საქალაქო სადგურების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების დირექტორებმა:

ა) როგორც წესი, დაწესებულებაში ჩამოაყალიბონ სპორტის ტექნიკური სახეების, რადიოელექტრონიკის, ფიზიკის, ავტომატიკის, ქიმიისა და ცალკეულ შემთხვევაში რაიონისათვის (ქალაქი-

სათვის) დამახასიათებელი წამყვანი სამეურნეო-ეკონომიური დარ-გის წრეები;

ბ) უზრუნველყონ წრეები ხელსაწყო-იარაღებითა და [illegible] მასალებით იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ცალკეულ ჯგუფში გაერთიანებულ წევრ-მოსწავლეთა ერთდროული მუშაობისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მიაღწიონ რაიონის მახლობელი სკოლების მოსწავლეების მეტი რაოდენობით ჩაბმას წრეებში და მათ დაინტერესებას სასწავლო-პრაქტიკული მუშაობით;

დ) შეავსონ ბიბლიოთეკები ტექნიკური წიგნებით, ხოლო შესაძლებლობის ფარგლებში შექმნან ხელსაწყო-იარაღების „ინსტრუმენტოტეკები“.

ე) პიონერ-მოსწავლეთა შორის სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გავრცელების მიზნით მოაწყონ ლექცია-საუბრები და ტექნიკის გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მშობლიური ტექნიკის ისტორიისა და განვითარების შესახებ; მოაწყონ სამეცნიერო-ტექნიკური და პოპულარული ფილმების ხშირი ჩვენება;

ვ) მოაწყონ პერიოდულად ტექნიკური ექსკურსიები, შეხვედრები ტექნიკის დარგის გამოჩენილ მოღვაწეებთან, წარმოების ნოვატორებთან, სოციალისტური შრომის გმირებთან;

ზ) სისტემატურად ჩაატარონ ადგილობრივი ღონისძიებები და მიიღონ აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკური მნიშვნელობის მასობრივ ღონისძიებებში—რესპუბლიკურ კონკურსში—„ნორჩი ტექნიკოსები—სამშობლოს“. ნორჩ ტექნიკოსთა, რადიომოყვარულთა და ქიმიკოსთა დაუსწრებელი კლუბების მუშაობაში, ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსში, ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის ოლიმპიადებში, სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციაში, რესპუბლიკურ შეჯიბრებებში სპორტის ტექნიკურ სახეებში, რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში და სხვ. ამასთან, ფართოდ გამოიყენონ მუშაობის დაუსწრებელი ფორმები (წერილობითი კონსულტაციები, მეთოდური და ინსტრუქციული მასალების გამრავლება და სხვ.).

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) ზემდგომი ორგანოების დადგენილების უზრუნველყოფის მიზნით, რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებების საშუალებით მოამარაგოს ტექნიკური წრეები საჭირო რაოდენობის ტიპიური

დეტალებითა და ნახევარფაბრიკატებით და უზრუნველყოს მათი ცენტრალიზებული წესით შემოზიდვა;

ბ) გააუმჯობესოს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მომარაგება წრეების მუშაობისათვის აუცილებელი საჭირო მოწყობილობის დანადგარებითა და მასალებით.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):

ა) შესაძლებლობის ფარგლებში გამონახოს სახსრები ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო და საქალაქო სადგურებში წრეების რაოდენობის გასაზრდელად;

6. დაისვას საკითხი სადირექტივო ორგანოების წინაშე ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მიერ ტექნიკური სახის ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის გამოშვების შესახებ.

7. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა პერიოდულად გააშუქონ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისა და სკოლების ტექნიკური წრეების საქმიანობა.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ კონტროლი დააწესოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე და შედეგები წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას განსახილველად 1970 წლის მაისში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ႤႰႭႥႬႳႪႨ
ႡႨႡႪႨႭႧႤႩႠ

## ႱႠႵႠႰႧႥႤႪႭႱ ႱႱႰ ႢႠႬႠႧႪႤႡႨႱ ႱႠႫႨႬႨႱႲႰႭႱ 1969 Წ. 17 ႭႵႲႭႫႡႰႨႱ ႡႰႻႠႬႤႡႠ № 597

**ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, გორის, დუშეთისა და გორის რაიონებისა და გარდაბნის რაიონის ვარკეთილის სკოლამდელ დაწესებულებათა ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ**

შემოწმებით დადასტურდა, რომ სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობაში ორგანიზებულად განახლდა სასწავლო წელი. ბევრ საბავშვო ბაღს გაუკეთდა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. შეძენილ იქნა დგამ-ავეჯი, სასწავლო ნივთები, სათამაშოები, კეთილმოეწყო ეზოები.

ამ საქმეში მათ დიდი დახმარება გაუწიეს საშეფო ორგანიზაციებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის (დირექტორი შ. შარაშენიძე) შეფობა საბავშვო ბაღებისადმი. ამ ქარხანამ კაპიტალური რემონტი ჩაუტარა რუსთავის 21-ე ბაგა-ბაღს, რისთვისაც დახარჯა 7.000 მანეთი. ამავე ქარხნის ზოგიერთი საამქრო შეფობას უწევს სხვადასხვა საბავშვო ბაღს. მაგალითად, საჩამომსხმელო-საფასოლო საამქრომ მეოთხე საბავშვო ბაღს შეუკეთა სახურავი, მოუწყო ეზო სათამაშო და ფიზკულტურული დანადგარებით და სხვ. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აგრეთვე საქართველოს სსრ უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმი (თავმჯდომარე ვ. გაჩეჩილაძე), რკინიგზის სალიანდაგო ორგანიზაცია (უფროსი გ. ვაშაკიძე), ქ. თბილისის პირველი ატპ-ა (უფროსი ვ. კერესელიძე), საქხილმიწყლების ტრესტი (უფროსი ბაქრაძე), გორის საგზაო-საამშენებლო ტრესტი (მმართველი კ. იაშვილი) და სხვ.

აღსანიშნავია გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის დახმარება საბავშვო ბაღისადმი, რომელმაც საბავშვო ბაღს თავისი სახსრებით აუშენა ტიპიური შენობა,

მიუხედავად ამისა, სკოლამდელ დაწესებულებათა ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის საქმეს ახასიათებს ნაკლოვანებანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დუშეთის რაიონის სკოლამდელი დაწესებულებები სრულიად მოუმზადებელი შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს. ამ რაიონის არცერთ სკოლამდელ დაწესებულებას მიმდინარე ან კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია. დუშეთის ბაგა-ბაღის (გამგე ს. დათოშვილი) ბაგის ჯგუფებში იატაკი ადგილ-ადგილ ამოცვენილია, ფასანაურის საბავშვო ბაღში — კედლები ჩამონგრეულია. ორივე დაწესებულებაში ფანჯრები ჩამტვრეულია, ეზოები კეთილმოუწყობელი აქვთ, ავეჯი მოძველებული, არ აქვთ საკმაო რაოდენობით სათამაშოები, დაბალი გემოვნებითაა გაფორმებული ჯგუფის ოთახები და ბუნების კუთხეები, ოთახის ყვავილები მოთავსებულია თუნუქის ყუთებში, კედლებზე ჰკიდია ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სხვადასხვა სურათები. ყურადღება არ ექცევა ბავშვებისა და ტექნიკური პერსონალის ჩაცმულობას, არა აქვთ ინდივიდუალური ცხვირსახოცები, თეთრეული ჭუჭყიანია, კვების ბლოკში მომუშავე მუშაკებს უსუფთაო ხალათები აცვიათ.

ამავე რაიონის არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში ადგილი აქვს თეთრეულის გარეშე ბავშვთა ორ-ორად წოლის შემთხვევას.

ყურადღება არ ექცევა ბავშვებში თვითმომსახურების და კულტურული ჭამის ჩვევების დანერგვას. ბავშვები ვერ ხმარობენ ინდივიდუალურ ხელსაწმენდს. ფასანაურის საბავშვო ბაღში აღსაზრდელებს პურს ფაფაში უყრიან.

ადგილი აქვს აგრეთვე დღის რეჟიმის სისტემატურად დარღვევას. დუშეთის ბაგა-ბაღში დილით ბავშვების შეკრება ნაცვლად 9 საათისა და 30 წუთისა გრძელდება 10 საათსა და 15 წუთამდე, რაც იწვევს საუზმის დაგვიანებით გაცემას და სხვა რეჟიმული მომენტების დარღვევას.

ანალოგიური მდგომარეობაა გარდაბნის რაიონის ვარკეთილის ბაგა-ბაღში (გამგე ლ. ყურაშვილი).

რემონტი არ ჩატარებულა რუსთავის მე-12 ბაგა-ბაღში, გორის № 5 საბავშვო ბაღში.

რემონტის გაჭიანურების გამო 10 სექტემბრისათვის სასწავლო წელი არ დაუწყიათ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 39-ე, პირველი მაისის № 1 სადღეღამისო, 106-ე და ქ. გორის № 1

საბავშვო ბაღებს, რის შესახებაც განათლების განყოფილებებს განათლების სამინისტროსათვის არ უცნობებიათ. მოუმზადებლობით განაახლეს სასწავლო წელი რუსთავის მე-19, მე-20, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-12, 29-ე ბაგა-ბაღებმა, 46-ე, საბავშვო ბაღებმა.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ეზოების კეთილმოწყობის საქმეს ქ. თბილისის კალინინისა და კიროვის რაიონებში.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებებში (შემოწმებული იქნა 65 სკოლამდელი დაწესებულება) წინამოსამზადებელი მუშაობა არ ჩატარებულა მშობლებთან, მიკრორაიონში არ აღურიცხავთ სკოლამდელი ასაკის ბავშვები, არ ჰქონდათ დაზუსტებული საბავშვო ბაღში ჩარიცხულ ბავშვთა სიები და სათანადო ჟურნალებში შეტანილი. საბავშვო ბაღის პედაგოგიური პერსონალისათვის არ იყო ცნობილი ბავშვების საბავშვო ბაღში გამოუცხადებლობის მიზეზები და ადგენდნენ სიებს იმ ბავშვების მიხედვით, რომლებიც 10 სექტემბრისათვის ცხადდებოდნენ. ამის გამო, 10 სექტემბრისათვის, ზოგიერთი საბავშვო ბაღის სააღმზრდელო ჯგუფში 5—10 ბავშვზე მეტი არ იმყოფებოდა.

სკოლამდელ დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს სააღმზრდელო ჯგუფების დროულად დაკომპლექტებას, გატაცებულია ბავშვთა სიობრივი მონაცემებით და არავითარ ზომებს არ ღებულობს ბავშვთა მაქსიმალურად დასწრებისა და ბავშვთა დღეების აუცილებლად შესრულებისათვის. თავს არიდებს უმცროსი ასაკის ბავშვების მიღებას, სწორად არ აწარმოებს ბავშვთა მოძრაობას, არ აფორმებს ბრძანებებს ბავშვთა საბავშვო ბაღში შემოსვლის ან გასვლის შემთხვევაში. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მუშაობის სწორად და მიზნობრივად აგეგმვა-აღრიცხვის საქმეს, ბავშვთა პირადი საქმეების მოწესრიგებას, სკოლაში წამსვლელ ბავშვებს არ ეძლევა დახასიათებები, სადაც ნათლად იქნება წარმოდგენილი მათი ინდივიდუალური თავისებურებანი, ფიზიკური და გონებრივი განვითარების შესახებ მონაცემები. ზოგიერთ საბავშვო ბაღს არ აქვს კონტაქტი დამყარებული თავის მიკრორაიონის საბავშვო ბაღის გარეთ დარჩენილ ბავშვთა ოჯახებთან და არ უწევენ დახმარებას მშობლებს ბავშვების სკოლისათვის მომზადების საქმეში.

ზოგიერთი განათლების განყოფილება არ ასრულებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 23 ნოემბრის

№ 1.049 ბრძანებას „სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო წლის დაწყების ვადების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს სკოლამდელ დაწესებულებათა ადგილზე ან აგარაკზე მთელი ზაფხულის განმავლობაში მუშაობას. ნაწილი სკოლამდელი დაწესებულებებისა კი თვითნებურად ამთავრებს და იწყებს სასწავლო წელს, რაც იწვევს ბავშვთა კონტინგენტის დღეთა შეუსრულებლობას. ზოგიერთმა სკოლამდელმა დაწესებულებამ მუშაობა შეწყვიტა პირველ ივლისს და განაახლა 10 სექტემბერს. ამ გზით საბავშვო ბაღის გამგე კუთვნილი შვებულებით სარგებლობს არა 36, არამედ 50 დღით, მაშინ, როდესაც ტექნიკური პერსონალი იძულებულია უხელფასო შვებულებაში გავიდეს. ეს მდგომარეობა მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებასაც იწვევს.

ნაწილი განათლების განყოფილებებისა, სკოლამდელი აღზრდის კაბინეტის გამგეები და ინსპექტორ-მეთოდისტები ქმედით ზომებს არ ღებულობენ სკოლამდელ დაწესებულებათა რემონტის მაღალხარისხოვნად ჩატარების, სასწავლო წლის განახლებისა და მშენებლობის დროულად დამთავრებისათვის. მაგალითად, მ/წლის III კვარტალში უნდა დამთავრებულიყო 25 შენობა, დამთავრდა მხოლოდ 10.

სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო წლის დაწყების საქმეში წესრიგის დამყარების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ს/ო ავტონომიური ოლქის, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებმა:

ა) შეუნელებელი ყურადღება მიაქციონ სკოლამდელ დაწესებულებათა მიმდინარე და კაპიტალური რემონტის მაღალხარისხოვნად და დროულად ჩატარების, მათი დგამ-ავეჯით, სასწავლო ნივთებითა და სათამაშოებით უზრუნველყოფის საქმეს;

ბ) მიიღონ ყველა ზომა, რათა სკოლამდელ დაწესებულებებში მუშაობა მიმდინარეობდეს წლის განმავლობაში ბავშვთა კონტინგენტის შემცირების შემთხვევაშიც კი და სასწავლო წელი იწყებოდეს 10 სექტემბერს.

იმ შემთხვევაში, თუ საბავშვო ბაღი (ბაგა-ბაღი) რაიმე არსებითი მიზეზის გამო (კაპიტალური რემონტი) ზაფხულის პე-

რიოდში არ იმუშავებს, სასწავლო წელი უნდა განაახლოს პირველი სექტემბრისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დაავალონ მათი რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რათა სასწავლო წლის დაწყებამდე აღრიცხონ თავისი მიკრორაიონის სკოლამდელი ასაკის ბავშვები და 25 აგვისტოსათვის ძირითადად დააკომპლექტონ საბავშვო ბაღის საალმზრდელო ჯგუფები ბავშვთა ასაკის მიხედვით;

დ) სისტემატური კონტროლი დააწესონ სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის მიმდინარეობაზე, რათა შენობები შეყვანილ იქნეს ექსპლოატაციაში დადგენილ დროს;

ე) მიიღონ ყველა ზომა სახალხო მეურნეობის გეგმისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დღეების აუცილებლივ შესასრულებლად;

ვ) აღნიშნული ბრძანება დაიყვანონ ყველა უწყების სკოლამდელ დაწესებულებამდე და დაამყარონ სრული წესრიგი ყოველი სასწავლო წლის ორგანიზებულად და მომზადებულად დაწყებისათვის;

ზ) იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სასწავლო წლის ნორმალურად განახლება, გაატარონ სათანადო ადმინისტრაციული ღონისძიებები და შედეგები აცნობონ განათლების სამინისტროს მ/წლის 1 დეკემბრამდე.

2. სკოლამდელი აღზრდის კაბინეტის გამგეებმა და მეთოდისტებმა სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან ერთად:

ა) იზრუნონ სასწავლო წლის ნორმალურად ჩატარებისათვის;

ბ) წესრიგში მოიყვანონ ბავშვთა პირადი საქმეები, ბავშვთა აღრიცხვის ჟურნალები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.

3. სკოლამდელ დაწესებულებათა პედაგოგებმა აღრიცხონ თავიანთ მიკრორაიონში საბავშვო ბაღის გარეთ დარჩენილი ბავშვები, მათ მშობლებთან სისტემატურად ჩაატარონ კონსულტაციები „აღზრდის პროგრამიდან“ გამომდინარე საკითხებზე და საბავშვო ბაღების ანალოგიურად უზრუნველყონ ამ ბავშვების სკოლისათვის მომზადება.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. მ. ანჯაფარიძე) მიიღოს ყველა ზომა შენობების დროულად დასამთავრებლად.

5. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) მკაცრი კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 14 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 22 ოქტომბრის ბრძანება № 606

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ XXIII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის აპრილის პლენუმმა განსაკუთრებული ამოცანები დასახეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების გასაუმჯობესებლად, საგნებისა, რომლებიც გადამწყვეტ გავლენას ახდენენ კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირებაზე, მოზარდი თაობის სულიერი და ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაზე.

რიგი გატარებული ღონისძიებების შედეგად ქალაქების თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, აბაშის, ბორჯომის, გორის, მახარაძის, ქარელის, თელავის, ხაშურისა და სხვა რაიონების სკოლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ამ დისციპლინების სწავლება; მეტი ყურადღება ეთმობა სასწავლო მასალის იდეურ მხარეს, სასწავლო პროცესი უნარიანად უკავშირდება კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ საკითხებს; მოსწავლეების აღზრდას მდიდარ რევოლუციურ, შრომითსა და ინტერნაციონალურ ტრადიციებზე.

მაგრამ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების საქმეში სკოლებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ხარვეზებიც. ლიტერატურის სწავლებისას სასწავლო მასალა და სწავლების პროცესი ნაკლებადაა გამოყენებული პატრიოტული, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის პრობლემების გადასაწყვეტად, ნაკლები ყურადღება ექცევა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, ლიტერატურული ნაწარმოებების მხატვრულ და სოციალურ ანალიზს; მასწავლებელთა

ნაწილი ვერ ახერხებს შეაყვაროს მოსწავლეებს წიგნი. მოსწავლეთა დიდ ნაწილს არ აქვს გამომუშავებული აზრის წერილობით და ზეპირად და წიგნიერად გადმოცემის ჩვევები, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ე. წ. „შპარგალკების“ გამოყენების ცდებს. ისტორია, როგორც სასწავლო საგანი, არასათანადოდაა გამოყენებული მოსწავლეებში სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადების, ხალხთა მეგობრობის გრძნობების ჩასანერგად, მოზარდებს არა აქვთ გამომუშავებული ისტორიული მოვლენების ურთიერთკავშირის დადგენის, სოციალ-ეკონომიური თვალსაზრისით ისტორიული ფაქტების შეფასების ჩვევები. ზოგ შემთხვევაში საზოგადოებათმცოდნეობა ისწავლება ზერელედ, იგი არ უწყობს ხელს მოსწავლეებში კლასობრივი თვითშეგნებისა და მტკიცე იდეური პოზიციის გამომუშავებას. მასწავლებლები იფარგლებიან სახელმძღვანელოში მოცემული მასალის მშრალი გადაცემით, არ ზრუნავენ დამხმარე ლიტერატურის გამოყენებასა და კურსის გაღრმავებულად შესწავლაზე.

რესპუბლიკის ბევრი სკოლის პედაგოგთა კოლექტივები არ უთმობენ საჭირო ყურადღებას თანამედროვე ლიტერატურული ენის ერთიანი ნორმების დაცვის საკითხს. ზოგ შემთხვევაში თვით მასწავლებლები უშვებენ უხეშ ფაქტობრივ და ენობრივ შეცდომებს, არ ზრუნავენ თავიანთი სპეციალური ცოდნის გამდიდრებაზე, თავიანთი კულტურული და პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოებაზე.

მაღალ კლასებში ჰუმანიტარული საგნების სწავლებაში არსებული ხარვეზები განპირობებულია დაწყებით კლასებში ამ საგნების სწავლების არასათანადო დონით. ხშირ შემთხვევაში დაწყებითი კლასების მასწავლებელთა შერჩევისას განათლების ადგილობრივი ორგანოები არ ითვალისწინებენ მათი სპეციალური და და პედაგოგიური მომზადების დონეს.

მეორე მხრივ, სერიოზული ხარვეზებია მეთოდგაერთიანებების და საგნობრივი და აკადემიური წრეების მუშაობაში. მეთოდგაერთიანებების მუშაობის არსებითი ნაკლია არაკონკრეტულობა, მოხსენებების ზერელე ხასიათი, მათი სიშორე აქტუალური პრაქტიკული პრობლემებისაგან. წრეების მუშაობაც ხშირ შემთხვევაში ფორმალურ, შემთხვევით ხასიათს ატარებს.

განათლების ადგილობრი ორგანოები, სკოლების დირექტორ-რექტორები და მათი მოადგილეები ზოგ შემთხვევაში არ ახორ-

ცილებენ საჭირო კონტროლს და ხელმძღვანელობას ჰუმანიტარული საგნების სწავლებისადმი, რის გამოც ადგილი აქვს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის მრავალ ფაქტს, რაც გამოვლინდა მშობლიურ ლიტერატურაში ოლიმპიადის და გამოსაშვები გამოცდების შედეგების შეჯამებისას. ცალკეული ხარვეზებით ხასიათდება ლიტერატურული ქრესტომათიები, საქართველოს ისტორიისა და დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები. არ დგას სათანადო სიმაღლეზე საზოგადოებათმცოდნეობის, ისტორიის ზოგიერთი სახელმძღვანელოს თარგმანები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებაზე; შეიმუშაონ და ცხოვრებაში გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები ამ დისციპლინების სწავლების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის;

ბ) განიხილონ და მიიღონ ზომები მეთოდური მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, შეისწავლონ და გამოიყენონ ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის და სხვა რაიონების მოწინავე გამოცდილება;

გ) განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ ჰუმანიტარულ საგნებში კლასგარეშე მუშაობისადმი; გააუმჯობესონ საგნობრივ-აკადემიური წრეების მუშაობა, გადააქციონ ისინი მოსწავლეთა პოლიტიკური და კულტურული ჰორიზონტის გაფართოების ქმედით საშუალებად;

დ) გადასინჯონ ჰუმანიტარული საგნებისა და დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კადრები, მიიღონ ზომები მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; საჭირო შემთხვევაში მიაღწიონ დაბალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის შეცვლას მაღალკვალიფიციური კადრებით;

ე) გააძლიერონ მოსწავლეთა შორის ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთების წინააღმდეგ, ჯანსაღი პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობის დანერგვისათვის;

ვ) შეისწავლონ სკოლებში ჰუმანიტარული საგნების სწავლების მდგომარეობა და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლენილი ხარვეზების სალიკვიდაციოდ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასების ფაქტების წინააღმდეგ, განუხრელად დაიცვან ნიშნების გამოყვანის ნორმები, მკაცრი ზომები მიიღონ იმ მასწავლებელთა მიმართ, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას;

თ) სკოლის მუშაობის შეფასებისას ძირითადი ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა რეალურ ცოდნას და არაოფიციალურ ციფრობრივ მონაცემებს და მოსწრების პროცენტებს თუ ეს მონაცემები არ ასახავენ სკოლის ცხოვრების ნამდვილ სურათს;

ი) იზრუნონ სასკოლო ბიბლიოთეკების შევსებაზე ახალი ლიტერატურული, ისტორიული და პოლიტიკური ნაწარმოებებით, ხოლო კაბინეტებისა თვალსაჩინო ხელსაწყოებით და სწავლების ტექნიკური საშუალებებით.

2. სკოლის დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და დახმარება ჰუმანიტარული საგნების მასწავლებელთა მუშაობისადმი, უზრუნველყონ მათი მიღწევების და ხარვეზების რეგულარულად განხილვა პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე;

ბ) სისტემატური კონტროლი დააწესონ პედაგოგების მიერ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებაზე; მათ მიერ მოსწავლეებში ისტორიული მასალის განზოგადების, მოვლენათა კლასობრივი ანალიზის, მხატვრულ და დამხმარე ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევების გამომუშავებაზე;

გ) მკვეთრად აამაღლონ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების პასუხისმგებლობა მოსწავლეებში ზეპირი და წერითი მეტყველების სათანადო დონეზე დაყენების, მხატვრული ნაწარმოებების ღრმად შესწავლის, მათი შინაარსისა და იდეური მხარის მოხდენილად გახსნის საქმეში; დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ თანამედროვე ლიტერატურული ენის ნორმების დარღვევის გამოვლინებებს;

3. მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიის და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებმა:

ა) ყოველდღიურად იზრუნონ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური და სამეცნიერო-პედაგოგიური მომზადების გაუმჯობესებაზე, სწავლების პროცესის შეხამებაზე პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობასთან, არ დაუშვან გაკვეთილებზე მოუმზადებლად გამოცხადების არცერთი შემთხვევა, ფართოდ გამოიყენონ მუშაობაში თანამედროვე პედაგოგიკის მიღწევები, თვალსაჩინო ხელსაწყოები და მოწყობილობა;

ბ) მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარების მიზნით ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების პრაქტიკაში დანერგონ პერიოდულად წერითი მუშაობის ჩატარება.

4. სახელმძღვანელოების (ამხ. ტ. ტყემალაძე) და მეთოდურმა (ამხ. ვ. ცაავა) განყოფილებებმა პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან (ამხ. გრ. ფოფხაძე) ერთად ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით მიიღონ ზომები არსებული სახელმძღვანელოების გადასამუშავებლად და ახლების შესაქმნელად, მეტი ყურადღება დაუთმონ ქრესტომათიების და სხვა დამხმარე ლიტერატურის შექმნას და გამოცემას როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლებისათვის;

5. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, გრ. საჯაია) უფრო ფართოდ გააშუქონ სკოლებში ჰუმანიტარული დისციპლინების სწავლების საკითხები.

6. მიღებული იქნეს ცნობად, რომ აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს დაევალა 1971 წლისათვის მოამზადოს გამოსაცემად საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელო.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძემ) თვალი ადევნოს ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 19 ნოემბრის ბრძანება № 654

### სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

ადგილებზე ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების უმრავლესობა დროულად შეუდგა ზამთრისათვის მზადების საქმეს და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა არსებული შენობების შეკეთების, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სასწავლო სახელოსნოების მოწყობის, მაგარი და რბილი ინვენტარის შეძენის, სათბობი მასალით მომარაგების, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისა და აღსაზრდელთა ზამთრის ტანსაცმელ-ფეხსაცმელით მომარაგების საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკის, რვაწლიანი, ყრუ ბავშვთა, გურჯაანის, საგურამოს, ქუთაისის რვაწლიანი, ტაშისკარისა და ყვარლის სკოლა-ინტერნატები, სამგორის, რუსთავისა და ლენინგორის საბავშვო სახლები (დირექტორები ვ. მელაძე, ზ. უკლება, ი. ხეთერელი, ო. ოქროშიძე, მ. მახარაშვილი, შ. კაკაბაძე, ნ. გრიგალაშვილი, ლ. ლოლიაშვილი, გ. ქვრივიშვილი, შ. მუხიგულაშვილი, ი. მაწიაშვილი),

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლა-ინტერნატი და საბავშვო სახლი შემოწმების დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო მზად ზამთრისათვის. აღსაზრდელთა საკმაოდ დიდ ნაწილს არ ჰქონდა ზამთრის პალტოები, კალოშები, ხელთათმანები, ქუდები და სხვ.

თბილისის მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ა. კუხიანიძე) არაა მომზადებული ზამთრისათვის, შენობა-ნაგებობანი შეუკეთებელია, ცენტრალური გათბობის სამუშაო-

ქბი ჯერაც არაა დამთავრებული, მოუგვარებელია წყლის საკითხიც. აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილნი საზამთრო ტანსაცმელ-ფეხსაცმელით. ინტერნატს არ მიუღია 260 თბილი პალტო, 307 თბილი შარვალი და ხალათი, ამავე რაოდენობის სვიტრი, ფეხსაცმელი, ლოგინი და სხვ. ასევე მოუთმენლად ჭიანურდება თბილისის № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატში (დირექტორი თ. მარკოხიანი) ცენტრალური გათბობის სამუშაოები.

ბეთანიის საბავშვო სახლის (დირექტორი გ. სიმონიშვილი) სასწავლო კორპუსში წყალი ჩამოდის, რის გამო ზოგიერთ საკლასო ოთახში ჭერი ჩამონგრეულია, აბანო-სამრეცხაო არაა წესრიგში მოყვანილი და ავარიულ მდგომარეობაშია, საბავშვო სახლი არაა უზრუნველყოფილი წყლით, რის გამო საპირფარეშოებისა და პირსაბნების მუშაობა ფერხდება. აღსაზრდელებს აკლიათ ზამთრის პალტოები, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი.

თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მშენებარე შენობაში ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს გადასაკეთებელი სამუშაოები, რის გამო ჭიანურდება სკოლა-ინტერნატის ახალ შენობაში გადაყვანა, ხოლო არსებული შენობა მინიმალურადაც არ აკმაყოფილებს სკოლა-ინტერნატის მოთხოვნილებებს.

კვლავ მძიმე მდგომარეობაა ბარისახოს სკოლა-ინტერნატში (დირექტორი გ. ნარიმანიძე). ინტერნატში არ მუშაობს გათბობის სისტემა; მოუწესრიგებელია კანალიზაცია, აბანო და სამრეცხაო. სიძველის გამო ხმარებიდანაა გამოსული რბილი და მაგარი ინვენტარი, მოსწავლეებს აკლიათ ზამთრის თბილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი. საძინებელი კორპუსის მშენებლობა, რომელიც წლების მანძილზე მიმდინარეობს, ამჟამად შეჩერებულია სამშენებლო ორგანიზაციის მიზეზით.

სარემონტო მასალის (თუნუქი, ცემენტი და სხვ.) ნაკლებობის გამო ჭიანურდება მიმდინარე რემონტი ბროწეულას სკოლა-ინტერნატში.

ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა სკოლა ინტერნატსა და საბავშვო სახლში.

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატების დიდ უმრავლესობაში უმოქმედობას იჩენენ საშეფო ორგანიზაციები და მზრუნველთა საბჭოები.

სახალხო განათლების ზოგიერთმა განყოფილებამ ჯეროვანი ყურადღება და საჭირო დახმარება არ გაუწია მათ დაქვემდებარე-

ბაში მყოფ სკოლა-ინტერნატსა და საბავშვო სახლს ზამთრის სე-ზონისათვის დროულად მზადებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებს:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ შენობა-ნაგებობათა შეკეთების უმოკლეს ვადებში დასამთავრებლად და საწვავი მასალის (შეშა, ნახშირი, მაზუთი, ნავთი) მთლიანად შესაზიდად;

ბ) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი აღსაზრდელთა საზამთრო ტანსაცმელ-ფეხსაცმლით უზრუნველსაყოფად;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სისუფთავის დაცვასა და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების წესრიგში მოყვანას.

2. აღინიშნოს თბილისის მუსიკალური სკოლა-ინტერნატის დირექტორის ა. კუხიანიძის, თბილისის № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორის ამხ. ი. მარკოსიანის, ბეთანიის საბავშვო სახლის დირექტორის ამხ. მ. სიმონიშვილისა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დირექტორის ამხ. გ. ნარიმანიძის სუსტი მუშაობა ზამთრისათვის მზადების საქმეში. დაევალოთ მათ ამ ბრძანებაში ნაკლოვანებების უმოკლეს ვადაში აღმოფხვრა.

3. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები ზამთრისათვის ტანსაცმელ-ფეხსაცმლითა და აუცილებელი ინვენტარ-მოწყობილობით.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. მ. ანჯაფარიძე) სათანადო ღონისძიება გაატაროს ამ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა შეისწავლონ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობა და შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი.

6. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 21 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

წ. 17/48

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. დადგენილება—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა თხზულების „რევოლუციას აქვს დასაწყისი—რევოლუციას არა აქვს დასასრული"—III საკავშირო დათვალიერებაში საქართველოს სსრ მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

2. დადგენილება—საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ განათლებისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროების კოლეგიებისა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო დათვალიერების „ნორჩთა შემოქმედების" ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 11

3. ბრძანება № 720—თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 24

4. ბრძანება № 676—რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ . . . . . . . . . 54

5. ბრძანება № 512—საქართველოს სსრ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 63

6. ბრძანება № 574—ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . 72

7. ბრძანება № 597—ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, გორის, დუშეთისა და გორის რაიონებისა და გარდაბნის რაიონის ვარკეთილის სკოლამდელ დაწესებულებათა ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 77

8. ბრძანება № 606—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 78

9. ბრძანება № 654—სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 84